რეგიონულ და აღგილობრივ დონეზე საზოგადოებრივი ჯანდაცვის ინფორმაციული სისტემის ფუნქციონირების ღონისძიების ფარგლებში განხორციელდა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს და ყველა სხვა უწყების დაქვემდებარებაში მყოფი სამურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებებიდან 2005 წლიური ანგარიშების მიღება, შემოწმება და დამუშავება; ყოველთვიური სამედიცინო სტატისტიკის წარმოება, ყოველთვიური ანგარიშგების ფორმების მიღება და დამუშავება, მომზადდა 2006 წლის 3, 6 და 9 თვის ანგარიშები, მიმდინარეობდა 2006 წლისათვის დარგობრივი სტატისტიკური ფორმების მომზადება, შეკვეთა, დაბეჭდვა და მათი შემდგომი განაწილება რეგიონების და რაიონების მიხედვით. მომზადდა ცნობარი „ჯანმრთელობა და ჯანმრთელობის დაცვა – 2005“. 2005 წლის მონაცემებით შეივსო ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ევროპული რეგიონალური ოფისის მიერ რეკომენდირებული შ-2-ის სისტემის მონაცემთა ბაზა. საზოგადოებრივი ჯანდაცვის რაიონული (საქალაქო) ცენტრების მიერ იმუნიზაციის მონიტორინგი განხორციელდა სამედიცინო სტანდარტების შესაბამისად, ჩატარდა სადეზინფექციო, სადერატიზაციო და სადეზინსექციო სამუშაოები პროგრამით განსაზღვრულ ყველა ობიექტზე, საქართველოში შექმნილი საგანგებო მდგომარეობის გამო, კერძოდ, ქათმის გრიპის და ლეიიშმანიოზის საწინააღმდეგოდ ჩატარდა სადეზინფექციო სამუშაოები, 12 რაიონის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრების ეპიდგანყოფილებათა მუშაკებს ადგილებზე ჩაუტარდათ სემინარ-კონსულტაციები დეზინფექციის, დეზინსექციის, დერატიზაციისა და სტერილიზაციის საკითხებზე, ითარგმნა და დამუშავდა მეთოდური სახელმძღვანელოები, მითითებანი, ინსტრუქციები, დედაქალაქის რამოდენიმე სკოლაში, შსს შინაგანი ჯარების ნაწილში, „რუსთავი 2“-ის ოფისში, საქართველოს ნაკონისა და გაზის კორპორაციაში ვირუსული ინფექციის შემთხვევასთან დაკავშირებით ჩატარდა უფასო სადეზინფექციო სამუშაოები, ზემო აფხაზებში ჩატანილი იქნა სადეზინსექციო საშუალება „სოლფაკი“, 2 ცალი სადეზინფექციო, სადეზინსექციო საშუალებათა ხსნარების მისასხურებელი აპარატი, ადგილობრივ სამედიცინო პერსონალს ჩაუტარდა სემინარ-კონსულტაციები დეზინფექციის, დეზინსექციის და დერატიზაციის საკითხებზე, განხორციელდა „სისხლის პროდუქტებით უზრუნველყოფის სისტემის ფუნქციონირებისა“ და „საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამსახურების მუშაობის შესწავლა“.

ფარმაცევტული სექტორის რეგულირებისა და მონიტორინგის პროგრამის ფარგლებში განხორციელდა სამკურნალო საშუალების ხარისხის სტანდარტთან შესაბამისობის დადგენის მიზნით 714 სამკურნალო საშუალების სარეგისტრაციო მასალისა და სამკურნალო საშუალებების ხარისხის სახელმწიფო კონტროლის მიზნით შერჩევით შესყიდული 441,3 (მედიკამენტი) და 178 ერთეული (კოლოფი, კონვალუტა, ფლაკონი) სამკურნალო საშუალების კონტროლი.

სამედიცინო დაწესებულებების ოპტიმიზაციის პროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები: სს ტუბერკულოზის და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრის ახალი კორპუსის მშენებლობა, ზუგდიდის სს „რესპუბლიკა“ მრავალპროფილიანი კლინიკური საავადმყოფოს რემონტი, შპს „აკად. ზ. ცხაკაიას სახ. დასავლეთ საქართველოს ინტერვენციული მედიცინის ეროვნული ცენტრის „ბ“ კორპუსის მეორე ნაწილის რემონტი და სამედიცინო აპარატურით აღჭურვა, საგარეჯოს ამბულატორიის რემონტი, სამედიცინო და საოფისე ავეჯით აღჭურვა, სს „ოფთალმოლოგისა და ნევროლოგის ეროვნული ცენტრის“ ნეირორეაბილიტაციის განყოფილების აღჭურვა, ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის პრაქტიკულ ცენტრის სარემონტო სამუშაოები, აკადემიის კლინიკური კორპუსის სარემონტო სამუშაოები, ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის პრაქტიკული ცენტრის მე-2 და მე-8 ბლოკების სარემონტო სამუშაოები, ფსიქიატრიული საავადმყოფოს რემონტი, რესპუბლიკური საავადმყოფოს სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები, სს „ქუთაისის სამხარეო დედათა და ბავშვთა სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრის“ სარემონტო სამუშაოები, თელავის რაიონული პოლიკლინიკის სარემონტო სამუშაოები და სამედიცინო აპარატურით აღჭურვა, შპს „მესტიის რაიონული პოლიკლინიკის“ რემონტი, №5 საავადმყოფო-პოლიკლინიკური გაერთიანების სარეაბილიტაციო სამუშაოები და სამედიცინო აპარატურით აღჭურვა, იაშვილის სახელობის ბავშვთა საავადმყოფოს სარემონტო სამუშაოები, ბორჯომის №1 ცენტრალური პოლიკლინიკის სარემონტო სამუშაოები, სამედიცინო აპარატურითა და საოფისე ავეჯით აღჭურვა, ვარკეთილის პოლიკლინიკის სარემონტო სამუშაოები და სამედიცინო აპარატურით აჭლურვა, რუსთავის №1 სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრის სარემონტო სამუშაოები და მისი სამედიცინო და საოფისე ავეჯით აღჭურვა, ფოთის №1 პოლიკლინიკის სარემონტო სამუშაოები და საოფისე ავეჯით აღჭურვა, სს „აკადემიკოს მ.

წინამდლვრიშვილის სახელობის კარდიოლოგიის ინსტიტუტის სარემონტო სამუშაოები, უროლოგიის ეროვნული ცენტრის კიბის უჯრედის სარემონტო სამუშაოები, ბათუმის №1 პოლიკლინიკის სარემონტო სამუშაოები და საოფისე ავეჯით აღჭურვა, პირველ კლინიკურ საავადმყოფოში რეანიმაციის განყოფილების, ადმინისტრაციული კორპუსის პირველი სართულის სარემონტო სამუშაოები, პირველ კლინიკურ საავადმყოფოში რეანიმაციის განყოფილების სარემონტო სამუშაოები, შპს „სენაკის რაიონის სოფელ გეჯეთის ამბულატორიის“ სამშენებლო სამუშაოები, ავეჯისა და ინვენტარის შეძენა, ყვარელის რაიონის სოფელ წიწკანაანთსერის ამბულატორიის სამშენებლო სამუშაოები, ლაგოდეხის რაიონის სოფელ ვარდისუბნის ამბულატორიის სამშენებლო სამუშაოები, შპს ქუთაისის დ. ნაზარიშვილის სახელობის საოჯახო მედიცინისა და საოჯახო მედიცინის რეგიონალური სასწავლო ცენტრის სარემონტო სამუშაოები, ოზურგეთის რაიონული პოლიკლინიკის სარემონტო სამუშაოები, დარჩელის ზონალური პოლიკლინიკის სარემონტო სამუშაოები და მისი საოფისე ავეჯით აღჭურვა, წალენჯიხის ამბულატორიულ-პოლიკლინიკური გაერთიანების სარემონტო სამუშაოები, თერაპიის ინსტიტუტის სარემონტო სამუშაოები, ვ. სანიკიძის სახელობის საქართველოს ომის ვეტერანთა კლინიკური პოსპიტალის სარემონტო სამუშაოები, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის №2 კლინიკის სარემონტო სამუშაოები, გორის სისხლის გადასხმის სადგურის სარემონტო სამუშაოები, სურამის ორთოპედიულ-ტრავმატოლოგიური საავადმყოფოს აღჭურვა, სს „აკადემიკოს ქ. ერისთავის სახელობის ექსპერიმენტალური და კლინიკური ქირურგიის ს/კ ინსტიტუტის“ სარემონტო სამუშაოები.

საქართველოში მცხოვრებ ომის ვეტერანთა სამედიცინო დაწმარების სახელმწიფო პროგრამის (ომის ვეტერანთა კლინიკური პოსპიტალის ბაზაზე) ფარგლებში პოსპიტალის სტაციონარში მიღებულია 1 861 პაციენტი, პოლიკლინიკაში გატარებულია 4 564 ავადმყოფი, ხოლო სამკურნალო-დიაგნოსტიკურ განყოფილებაში ჩატარებულია 15 600 კვლევა. ლაბორატორიაში გაკეთებულია 6 333 კლინიკური და ბიოქიმიური ანალიზი.

საქართველოს მოსახლეობის სოციალური დაცვა

საპენსიო უზრუნველყოფა

სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის ხარჯების ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა საპენსიო ხარჯები. „საქართველოს 2006 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის პირველი ნაწილის მე-8 პუნქტის შესაბამისად, 2006 წლის 1 მარტამდე პენსიის მინიმალური ოდენობა განისაზღვრა 28 ლარის ოდენობით, 2006 წლის 1 მარტიდან – 33 ლარის ოდენობით, ხოლო 2006 წლის 1 სექტემბრიდან – 38 ლარის ოდენობით. პენსიონერთა გარკვეულ კატეგორიებზე (II მსოფლიო ომის მონაწილე – 70 წელს გადაცილებულები, ომის მონაწილეები, ომის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, ომის მონაწილეებთან გათანაბრებული პირები, პოლიტრეპრესირებულები, მკვეთრი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სხვა სამხედრო მოსამსახურე პირები, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულ, უგზო-უკვლოდ დაკარგულთა და მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილთა ოჯახების შეზღუდული შესაძლებლობის მქონე წევრები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 18 წლამდე ასაკის ბავშვები, რომლებიც საჭიროებენ სხვა პირის მუდმივ დახმარებას), „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული მომატებული საპენსიო განაკვეთების შესაბამისად, ფონდი პენსიის გაანგარიშებას და დაფინანსებას ახორციელებდა 2006 წლის 1 იანვრიდან.

2006 წელს ფონდის მიერ სრულად დაიფარა მიმდინარე პენსიები. კერძოდ, საანგარიშო პერიოდში ძალოვანი სტრუქტურების პენსიონერთა პენსიებზე მიმდინარე 45 843.8 ათასი ლარი, რაც 2005 წლის შესაბამის მაჩვენებელზე 7 016.4 ათასი ლარით (18.1%-ით) მეტია. საანგარიშო პერიოდში რეგრესული პენსიების მიმღებ პენსიონერთა პენსიებზე მიმდინარე 2 299.9 ათასი ლარი, რაც 2005 წლის შესაბამის მაჩვენებელზე 142.1 ათასი ლარით (6.6%-ით) მეტია. დანარჩენ პენსიებზე საანგარიშო პერიოდში მიმდინარე 409 232.0 ათასი ლარი, რაც 2005 წლის შესაბამის მაჩვენებელზე 89 679.0 ათასი ლარით (28.1%-ით) მეტია.

ფონდის მიერ წლიური ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების ფარგლებში შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება, ე.წ. რეგრესული პენსიები, სრულად იქნა დაფინანსებული.

ასევე, „ცხინვალის, ჯავის, ყორნისისა და ახალგორის რაიონების მოსახლეობის საპენსიო უზრუნველყოფის გადაუდებელ ღონისძიებათა

შესახებ” საქართველოს პრეზიდენტის განკარგულების, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებების საფუძველზე ხელისუფლების მიერ ფართომასშტაბიანი ღონისძიებები იქნა გატარებული საქართველოს ხელისუფლების მიერ არაკონტროლირებად ტერიტორიაზე ოსურენოვანი მოსახლეობის საპენსიო უზრუნველყოფისათვის. ამ მიზნით 2006 წლის იანვარის თვეში პენსია გამარტივებული წესით გაიცა 421 პენსიონერზე, თებერვალში 438 პენსიონერზე, მარტში 443 პენსიონერზე, აპრილში 477 პენსიონერზე, მაისში 482 პენსიონერზე, ივნისში 477 პენსიონერზე, ივლისში 470 პენსიონერზე, აგვისტოში 470 პენსიონერზე, სექტემბერში 474 პენსიონერზე, ოქტომბერში 472 პენსიონერზე, ნოემბერში 469 პენსიონერზე, დეკემბერში 473 პენსიონერზე. გამარტივებული წესით საპენსიო თანხები გაიცა ნაბაკევის, ზნაურის, თიღვას, ფრინევის, ახალშენის, ჩორჩანას, სუნისის, ლარისთავის, ხუნდისუბნის, თერგვანის, ოქონას, წნელისის, ტყისუბნის, ალიბარის, ბალთას, ნედლათის, მეტეხის, მუღრისის, ქალეთის, არცევის, ლოქანის, შინდარას, ფათქინეთის, ისაკ-კაუს, ფიჭვიგინას და ავნევის პენსიონერებზე. აღნიშნული ღონისძიება მნიშვნელოვან როლს ასრულებს ოსურ მოსახლეობაში საქართველოს ხელისუფლების მიმართ ნდობის აღდგენის საქმეში.

2006 წლის დასაწყისში ირიცხებოდა 894 690 პენსიონერი. 2006 წლის განმავლობაში პენსია დაენიშნა 69 078 მოქალაქეს, იმავე პერიოდში პენსია შეუწყდა 53 197 მოქალაქეს.

სოციალური დაცვის სხვა პროგრამები

„უმწეო მდგომარეობაში მყოფი ოჯახების სოციალური დახმარების“ ფარგლებში 2006 წლის 1 დეკემბრის მდგომარეობით სოციალური დახმარების ბენეფიციართა რაოდენობამ შეადგენა 44 382 პირი. მიზნობრივი სოციალური დახმარებების პროგრამაში უმწეო მდგომარეობაში მყოფი ოჯახების სოციალური დახმარების პროგრამის ბენეფიციართა გადასვლამ გამოიწვია ამ პროგრამის საოჯახო დახმარების მიმღებთა საერთო რაოდენობის კლება.

„სიღატაკის ზღვარს მიღმა მყოფი ოჯახების იდენტიფიკაციის, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებისა და მონაცემთა ბაზის ფორმირების სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში 2006 წლის დეკემბრის მდგომარეობით განაცხადი შეტანილი აქვს 502 133 ოჯახს,

ხოლო მიზნობრივი სოციალური დახმარებების პროგრამით საარსებო შემწეობა დანიშნული აქვს 95 900 ოჯახს.

„9 აპრილს დაღუპულ პირთა ოჯახების დახმარების“ ფარგლებში გათვალისწინებული 25 000 ლარი თანაბრად განაწილდა 15 ოჯახზე (22 პირზე).

„ელექტროენერგიის შეღავათებით მოსარგებლე მოსახლეობის (მათ შორის ომის მონაწილეების და მათთან გათანაბრებული პირების) მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის კომპენსაციის“ ფარგლებში ელექტროენერგიის შეღავათებით მოსარგებლე პირთა რაოდენობამ 2006 წლის დეკემბრის მდგომარეობით შეადგინა 97 719 პირი.

„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური ინტეგრაციისა და ადაპტაციის ხელშეწყობის პროგრამა“ თავის მხრივ მოიცავდა რამოდენიმე ქვეპროგრამას. კერძოდ: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური ინტეგრაციის ქვეპროგრამის დაფინანსებით, შშმპ-თა საპროთეზო-ორთოპედიული საშუალებებით უზრუნველყოფის კომპონენტის ფარგლებში მომსახურება გაეწია 854 ბენეფიციარს, ხოლო შშმპ-თა დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშემწყობი ცენტრების განვითარების უზრუნველყოფის კომპონენტის ფარგლებში მთელი საქართველოს მასშტაბით მომსახურება გაეწია 1 951 ბენეფიციარს. უსინათლოთა საინფორმაციო უზრუნველყოფის კომპონენტის ფარგლებში ბრაილის შრიფტით დაიბეჭდა 20 ნაწარმოები 127 ტომად და გახმოვანდა 57 ხმოვანი ნაწარმოები. აღნიშნული მოცულობის ნაბეჭდი და გახმოვანებული მასალა დამზადდა 10 ეგზემპლარად და განთავსდა 9 ბიბილიოთეკაში (1 ეგზემპლარი დედანის სახით ინახება ეროვნული ბიბლიოთეკის საცავში), რომელთაგან 3 მდებარეობს თბილისში, დანარჩენი 6 კი განთავსებულია ზუგდიდში, ბათუმში, თელავში, გორში, რუსთავესა და ქუთაისში. აღნიშნული კომპონენტის ფარგლებში ასევე შეძენილ იქნა 3 კომპიუტერი.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინსტიტუციური პატრონაჟის ხარჯების ქვეპროგრამით ინსტიტუციურ დაწესებულებებში სახელმწიფო კმაყოფაზე მყოფ შშმპ-თა და ხანდაზმულთა მოვლა-პატრონობისა და რეაბილიტაციის კომპონენტის ფარგლებში 2006 წლის 1 მაისამდე მომსახურება გაეწია დაახლოებით 205 ბენეფიციარს, ხოლო 1 მაისიდან 20 დეკემბრამდე 220 ბენეფიციარს, შშმპ-თა სათემო ორგანიზაციების განვითარების ხელშეწყობის კომპონენტის ფარგლებში შესაბამისი მომსახურება გაეწია 26 ბენეფიციარს, ხოლო ინსტიტუციური

დაწესებულებების ბენეფიციართა საკურორტო რეაბილიტაციის კომპონენტით ისარგებლა 240 ბენეფიციარმა, რომლებმაც ზაფხულის სეზონზე 14 დღის განმავლობაში დაისვენეს აბასთუმანსა და ურეკში.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის ქვეპროგრამით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის კომპონენტის ფარგლებში მომსახურება გაეწია 1 184 შემ ბავშვს. კომპონენტი მოიცავდა ბავშვთა მომსახურებას და მშობელთა ინსტრუქტაჟს.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამით შემპ-თა გადასაადგილებელი საშუალებებით (სავარძელ-ეტლებით, ყავარჯნებით, ხელჯოხ-ყავარჯნებით, ხელჯოხებით, უსინათლოთა ხელჯოხებით) უზრუნველყოფის კომპონენტის ფარგლებში სავარძელ-ეტლებით დაკმაყოფილდა 815 ბენეფიციარი, მათ შორის აქტიური ტიპის სავარძელ-ეტლით – 100, ნახევრად აქტიურით – 700, ხოლო მჯდომარე მდგომარეობაში წონასწორობის შენარჩუნების შესაძლებლობის შეზღუდვის მქონე ბავშვთა სავარძელ-ეტლით 15 ბენეფიციარი, ხელჯოხები (მათ შორის უსინათლოთა) და ყავარჯნები (მათ შორის ხელჯოხ-ყავარჯნები) გაიცა 1 235 ბენეფიციარზე; სმენადაქვეითებულ პირთა სმენის აპარატებით უზრუნველყოფის კომპონენტის ფარგლებში მომსახურება გაეწია 1 110 ბენეფიციარს, რომელთაგან 250 ბენეფიციარს გადაეცა ციფრული, ხოლო 860-ს ანალოგიური ტიპის აპარატი; აბსოლუტური სიყრუის მქონე პირთა კოხლეარული იმპლანტით უზრუნველყოფის კომპონენტის ფარგლებში 50%-იანი თანაგადახდის პრინციპით შეძენილ იქნა 6 კოხლეალური იმპლანტი.

სამედიცინო სოციალური ექსპერტიზის პროგრამის „შესაძლებლობის შეზღუდვის ხარისხის შეფასების (განსაზღვრის) საერთაშორისო სტანდარტების (IHF) შესაბამისი სისტემის შემუშავების“ ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა ფუნქციონირების, შესაძლებლობის შეზღუდვის და ჯანმრთელობის საერთაშორისო კლასიფიკაციის, მისი თანამდევი კითხვარისა და მასალების ქართულენოვანი თარგმანის დარგობრივი ექსპერტიზა, რის შედეგადაც აღნიშნული კლასიფიკაციის სრული ვერსია გამოიცა ქართულ ენაზე სამინისტროსა და ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციას შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.

2006 წლის 1 ივლისამდე უმუშევრის შემწეობა 2006 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებულ ასიგნებათა ფარგლებში გაცემულ იქნა 7 750 მოქალაქეზე.

შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშავის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება, ე.წ. რეგრესული პენსიები 2006 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებულ ასიგნებათა ფარგლებში გაცემულ იქნა 1 218 კაცზე.

სამუშაო ადგილებზე პროფესიული მომზადების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში სამუშაო ადგილებზე პროფესიული მომზადება გაიარა 44 500 ბენეფიციარმა.

სოციალური დახმარებების პროგრამის ფარგლებში მიზნობრივი სოციალური დახმარების – საარსებო შემწეობის გაცემა დაიწყო 2006 წლის 1 აგვისტოდან ქ. თბილისში, ხოლო 1 სექტემბრიდან დანარჩენ რეგიონებში. აგვისტოს თვეში მიზნობრივი სოციალური დახმარება – საარსებო შემწეობა გადაერიცხა 5 290, სექტემბრის თვეში – 68 412, ოქტომბრის თვეში – 80 407, ნოემბრის თვეში – 85 951, დეკემბრის თვეში – 89 049 ბენეფიციარს.

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სისტემის ფუნქციური და ინსტიტუციური განვითარების ხელშეწყობა

„სოციალური სფეროს ინსტიტუციური და ფუნქციური რეფორმის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამა“ მიმდინარეობდა 2006 წლის 1 ივლისამდე და მის ფარგლებში განხორციელდა დარგობრივ რეზიდენტურაში სახელმწიფო დაკვეთით ჩარიცხული რეზიდენტების მაღალპროფესიული მომზადება, სამინისტროს კუთვნილი სამედიცინო საქონლის და მარაგების შენახვა, შევსება-განახლება, მიღება და გაცემა, სუნთქვის აპარატების შესყიდვა, სამინისტროს ნორმატიული აქტების ბეჭდვა და გამოქვეყნება.

„ჯანმრთელობისა დაცვის სფეროს ინსტიტუციური და ფუნქციური განვითარების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში განხორციელდა ადამიანური რესურსის მართვის საინფორმაციო სისიტემის დანერგვის უზრუნველსაყოფად პროგრამის შექმნა, ინსტალაცია და

დანერგვის მომსახურება, სამინისტროს ნორმატიული აქტების ბეჭდვა და გამოქვეყნება, სამინისტროს კუთვნილი სამედიცინო საქონლის და მარაგების შენახვა, შევსება-განახლება, მიღება და გაცემა, მომზადდა სამინისტროში არსებული სტრუქტურის ელექტრონული ფორმა, განხორციელდა საჭირო ტექნიკის შეძენა, განხორციელდა ტრეინინგების საჭიროებათა პროცესი, კერძოდ შემუშავდა და კითხვარები დაუგზავნათ სამინისტროს სტრუქტურულ ერთეულებს, რომლის მიხედვითაც გაკეთდა ანალიზი და განისაზღვრა იმ ტრეინინგების ნუსხა, რომელთა ჩატარების საჭიროებაც იყო, კავშირები დამყარდა ტრეინინგ-ცენტრებთან და შეიქმნა მონაცემთა ბაზა, ჩატარდა ტრეინინგები, შემუშავდა ექიმ-სპეციალისტთა სარეზიდენტო პროგრამები, მომზადდა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარებისა და შესაბამისი სამედიცინო პერსონალის საქმიანობის წესის შესახებ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის პროექტი, მომზადდა სასამართლო-ფინანსურიული ექსპერტიზის ჩატარებისა და შესაბამისი სამედიცინო პერსონალის საქმიანობის წესის შესახებ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი, მომზადდა პროფესიული განვითარების სისტემის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები, განხორციელდა სტიქიური მოვლენების, კატასტროფისა და განსაკუთრებული მდგომარეობის დროს დაზარალებულთა გადაუდებელი სამედიცინო მომსახურებისათვის აუცილებელი მედიკამენტებით უზრუნველყოფისათვის მარაგების მართვა.

დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლების პროგრამის ფარგლებში 2006 წლის განმავლობაში განხორციელდა რეზიდენტთა მომზადება, ჩატარდა 85 კურსდამთავრებული რეზიდენტის შემაჯამებელი შეფასება, რეზიდენტურის სამსახურმა დაიწყო თსსუ-ს რეზიდენტურის კურსდამთავრებულთა ატესტაციისათვის, რეზიდენტების პირადი საქმეებისა და დოკუმენტაციის ექსპერტიზა, ჩატარდა თსსუ-ს იმ რეზიდენტების დოკუმენტაციის ექსპერტიზა, რომლებიც აგრძელებენ სარეზიდენტო პროგრამებს, განხორციელდა 2006 წლის სარეზიდენტო მზადების შესახებ პროგრამის დირექტორების მიერ წარმოდგენილი ანგარიშების ანალიზი და 2007 წლის სასწავლო გეგმების განსაზღვრა, რეზიდენტის მიერ წარმოებული პრაქტიკული საქმიანობის სახელმწიფო პროგრამებთან შესაბამისობის მიზნით ყველა სპეციალობის პროგრამის დირექტორებისგან მოთხოვნილ იქნა რეზიდენტების მიერ შესრულებული სამუშაოს, პრაქტიკული უნარ-ჩვევების და მანიპულაციების რაოდენობის შესახებ სრული ინფორმაციის წარმოდგენა, განხორციელდა რეზიდენტების ლოკალური ხელმძღვანელების მონაცემთა ბაზის შექმნა, რეზიდენტთა


დღიურების, ანგარიშების და სხვა დოკუმენტაციის არქივაცია, საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების 2007 წლის სასწავლო გეგმის შემუშავება, სარეზიდენტო პროგრამების ეფექტიანობის შეფასების კრიტერიუმების შემუშავება, რეზიდენტებზე სათანადო დოკუმენტაციის ცნობების გაცემის უზრუნველყოფა, რეზიდენტურაში მზადების პროცესის სახელმწიფო აკრძიტებული პროგრამების შესაბამისად წარმართვა, რეზიდენტების პროგრამ-დირექტორთა შედგენილი ინდივიდუალური გეგმა-გრაფიკების მიხედვით კლინიკურ ბაზებზე როტაციული პრინციპით განაწილება, რეზიდენტების პერსონალური დღიურების ექსპერტიზა.

2006 წლის განმავლობაში სახელმწიფო დაკვეთით სარეზიდენტო მზადება დაასრულა 22 რეზიდენტმა.

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროსათვის 2006 წლის განმავლობაში სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებამ შეადგინა 240 806.4 ათასი ლარი, ხოლო გაწეულმა ხარჯმა – 242 712.3 ათასი ლარი. რაც 2005 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 12 363.2 ათასი ლარით აღემატება.

2005–2006 წლებში გამოყოფილი ასიგნებები და გაწეული ხარჯები



აღნიშნული ხარჯები ორგანიზაციულ ჭრილში განაწილდა შემდეგი სახით:

(ათასი ლარი)


ორგანიზაციის ოფიციული სახე	დასახულება	დაზუსტებული გეგმა	საკასო ხარჯი	შესრულება %-ში
36 00	საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო	240,806.4	242,712.3	100.8%
	მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება დამქირავებლიდან ანარიცხები მივლინებები სხვა საქონელი და მომსახურება სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები კაპიტალური ხარჯები დაკრედიტება	1,228.3 259.4 160.0 786.2 220,735.8 350.0 17,286.7	1,222.5 244.5 141.3 724.5 215,808.0 324.9 24,246.6	99.5% 94.3% 88.3% 92.1% 97.8% 92.8% 140.3%
36 01	საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს ცენტრალური აპარატი	2,810.9	2,684.7	95.5%
	მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება დამქირავებლიდან ანარიცხები მივლინებები სხვა საქონელი და მომსახურება სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები კაპიტალური ხარჯები	1,228.3 259.4 160.0 786.2 27.0 350.0	1,222.5 244.5 141.3 724.5 27.0 324.9	99.5% 94.3% 88.3% 92.1% 100.0% 92.8%
36 02	საქართველოს ენერგოსისტემის სუბსიდირების ღონისძიებები	217,327.2	213,960.0	98.5%
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	217,327.2	213,960.0	98.5%
36 02 01	ჰიდრო- და თბოელექტროსადგურების რეაბილიტაცია	57,482.3	55,402.9	96.4%
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	57,482.3	55,402.9	96.4%
36 02 01 01	ჰიდრო- და თბოელექტროსადგურების სარეაბილიტაციო ღონისძიებები	47,482.3	45,402.9	95.6%
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	47,482.3	45,402.9	95.6%
36 02 01 02	ენგურპესის ელექტრო - და ჰიდრომექანიკური ნაწილის რეაბილიტაციის თანადაფინანსება	10,000.0	10,000.0	100.0%
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	10,000.0	10,000.0	100.0%
36 02 02	ბუნებრივი გაზის სექტორში სარეაბილიტაციო ღონისძიებები	2,459.1	1,562.2	63.5%
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	2,459.1	1,562.2	63.5%
36 02 03	ელექტროენერგიით და ბუნებრივი გაზით მომარაგების უზრუნველყოფისა და მოქმედი ტარიფების შენარჩუნების ღონისძიებები	112,720.0	112,717.3	100.0%
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	112,720.0	112,717.3	100.0%

36 02 04	საგადასახადო პოლიტიკის (დღგ) ცვლილებების გამო გამანაწილებელი კომპანიების ნაწილობრივი კომპენსაციის ღონისძიებები	65.9	65.9	100.0%
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	65.9	65.9	100.0%
36 02 05	სხვა დანარჩენი ღონისძიებები	8,640.0	8,594.2	99.5%
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	8,640.0	8,594.2	99.5%
36 02 05 01	ტყიბულის შახტების შენარჩუნების ღონისძიება	900.0	900.0	100.0%
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	900.0	900.0	100.0%
36 02 05 04	ენგურჰესის გენერაციის ტარიფის ოპტიმიზაციასთან დაკავშირებით ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (ღ) კრედიტის მომსახურების ღონისძიება	7,740.0	7,694.2	99.4%
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	7,740.0	7,694.2	99.4%
36 02 06	სადისტრიბუციო ენერგოკომპანიების აღრიცხვიანობისა და ელექტროგადამცემი და გამანაწილებელი საზების მოწესრიგების ღონისძიებები	2,000.2	1,999.8	100.0%
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	2,000.2	1,999.8	100.0%
36 02 07	მაღალი და დაბალი ძაბის ელექტროგადამცემი საზების მშენებლობისა და მათი იმედიანობის გაზრდის მიზნით სარეაბილიტაციო ღონისძიებები	13,450.7	13,325.5	99.1%
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	13,450.7	13,325.5	99.1%
36 02 08	„საქრუსენერგო“ 500-კვ ელექტროგადამცემი საზების „იმერეთისა“ და „კავკასიონის“ სარეაბილიტაციო ღონისძიება	310.0	310.0	100.0%
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	310.0	310.0	100.0%
36 02 09	ყაზბეგის რაიონის მოსახლეობის მიერ მოხმარებული ბუნებრივი აირის ღირებულების ანაზღაურების ღონისძიება	2,087.7	1,870.8	89.6%
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	2,087.7	1,870.8	89.6%
36 02 11	საგურამო-წითელი ზიდის მონაკვეთზე არსებული 700-800 მმ მაგისტრალური გაზსადენის სარეაბილიტაციო ღონისძიებები	18,000.0	18,000.0	100.0%
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	18,000.0	18,000.0	100.0%
36 02 14	ენერგოგნერაციის შემდგომი ფუნქციონირების და „ლავანურჰესის“ რეაბილიტაციის პროექტის განხორციელების ღონისძიებები	111.3	111.3	100.0%
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	111.3	111.3	100.0%
36 04	უცხოეთიდან მიღებული დაფინანსების წყაროებითა და გრანტებით განსახორციელებელი საინვესტიციო პროექტები და ამ პროექტებში თანამონაწილებისა და თანადაფინანსების სარჯები	20,668.3	26,067.6	126.1%
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	3,381.6	1,821.0	53.9%

	დაკრუდიტება	17,286.7	24,246.6	140.3%
36 04 01	საბითუმო ბაზრის მხარდამჭერი პროექტი	7,436.7	9,504.3	127.8%
	დაკრუდიტება	7,436.7	9,504.3	127.8%
36 04 03	ლაჯანურისა და ხრამპესის რეაბილიტაცია	4,500.0	4,301.9	95.6%
	დაკრუდიტება	4,500.0	4,301.9	95.6%
36 04 04	ენერგომატარებლების ტრანზიტის ინსტიტუციონალური აღმშენებლობის პროექტი	2,851.6	1,802.7	63.2%
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	2,851.6	1,802.7	63.2%
36 04 05	რეგიონალური ელექტროქსელის რეაბილიტაცია I პროექტი (ალაგერდი)	0.0	230.6	
	დაკრუდიტება	0.0	230.6	
36 04 06	ენერგოგამანაწილებელი სისტემის რეაბილიტაცია I პროექტი	5,000.0	9,731.8	194.6%
	დაკრუდიტება	5,000.0	9,731.8	194.6%
36 04 07	განახლებადი ენერგიები	0.0	18.3	
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	0.0	18.3	
36 04 08	ელექტრომომარაგების სექტორული პროგრამა	350.0	478.0	136.6%
	დაკრუდიტება	350.0	478.0	136.6%
36 04 09	ინფრასტრუქტურის ინვესტიციების მოსამაშადებელი პროექტი (ზუდონის კომპონენტი)	530.0	0.0	0.0%
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	530.0	0.0	0.0%

ეკონომიკური კლასიფიკაციის „მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების“
მუხლის წილმა მთლიან ხარჯებში 0.5% შეადგინა, „დამქირავებლიდან ანარიცხებმა“ – 0.1%, „მივლინებამ“ – 0.06%, „სხვა საქონელმა და მომსახურებამ“ – 0.3%,
„სუბსიდიებმა, სუბვენციებმა და მიმდინარე ტრანსფერებმა“ – 89.3%, ხოლო
„კაპიტალურმა ხარჯებმა“ – 0.1 %, დაკრედიტება – 9.6%.

2006 წელს გაწეული ხარჯების სტრუქტურა
ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით



საანგარიშო პერიოდში ენერგეტიკის სამინისტროს ძირითადი ხარჯები მიმართული იქნა ენერგოსისტების უსაფრთხო და სტაბილური ფუნქციონირებისათვის. აღნიშნულის ფარგლებში განხორციელდა ელექტროსადგურებისა და ბუნებრივი გაზის სექტორში სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები:

- ვარდნილჰქესების კასკადზე განხორციელდა კასკადის №1 და №2 ჰიდროაგრეგატებისათვის მუშა თვლების შეძენა, №2 აგრეგატისათვის ახალი სტატორის შეძენა-მონტაჟი, ვარდნილჰქესის №2 ჰიდროაგრეგატის როტორის პოლუსების იზოლაციის განახლება, სარემონტო-სამონტაჟო სამუშაოთა წარმოება ტურბინისა და გენერატორის კვანძების მონტაჟისათვის. №2 აგრეგატზე დამონტაჟდა ახალი სტატორი, განახლდა როტორის პოლუსების კორპუსული და ხვიათაშორისი იზოლაციები, აღდგენილი პოლუსები დამონტაჟდა როტორზე. განხორციელდა ახალი მუშა თვლის ტრანსპორტირება ხარკვის ტურბოატომის ქარხნიდან, აერი და ჩაუტარდა ტესტირება. განხორციელდა ტურბინის საკისრის სეგმენტების მიწოდება, მიმმართველი აპარატის კინემატიკის კვანძის საკისრების რეკონსტრუქცია ფტოროპლასტის მასალის გამოყენებით; შესრულდა ტურბინის კვანძის დეტალების შეკეთება და მონტაჟი, ჰიდროაგრეგატის აწყობისა და დაცენტრების სამუშაოები. განხორციელდა მოსამზადებელი სამუშაოები ვარდნილჰქესის ქვედა ბიეფის სარეაბილიტაციო სამუშაოების დასაწყებად. მომზადდა რკინა-ბეტონის ძელაკები, დამზადებულია 9 000 ცალი სამშენებლო მასალა, რომლებიც ვარდნილჰქესის ქვედა ბიეფის გამყვანი არხის გვერდებზე უნდა მოეწყოს

ძელყორების სახით, განხორციელდა საყრდენი საკისრის გოფრების შეძენა და მიწოდება №1 აგრეგატისათვის, ვარდნილპესში გაზომვებისა და აღრიცხვის მოწესრიგების მიზნით შვედეთში შეძენილი და მიწოდებული იქნა “ ”-ს ფირმის ორი კომპლექტი (6 ცალი) 220 კვ.-ის ახალი დენის ტრანსფორმატორი, შეძენილი და ვარდნილპესისათვს მიწოდებული იქნა 2 კომპლექტი არტეზიული ჭის ახალი ტუმბოები. შესრულდა №3 ჰიდროაგრეგატის ტრანსფორმატორის და ტ-2 ტრანსფორმატორის კაპიტალური შეკეთება;

- საანგარიშო პერიოდში განხორციელდა შაორპესის №2 და №3 ჰიდროაგრეგატებისათვის 2 კომპლექტი ახალი მუშა თვლების დამზადება და მოწოდება, მუშა თვლები დამონტაჟებული იქნა შაორპესის №2 და №3 აგრეგატის ტურბინებზე; განხორციელდა №2 და №3 ჰიდროაგრეგატების სტატორის გრაგნილების შეცვლაც. ზემოაღნიშნულ აგრეგატებს გრაგნილებისა და მუშა თვლების შეცვლის პერიოდში ჩაუტარდათ კაპიტალური შეკეთება. შაორპესის №2 და №3 აგრეგატებისათვის მუშა თვლების კომპლექტი მოწოდებული იქნა ავსტრიიდან „ფოიტის“ ქარხნიდან, ხოლო სტატორის გრაგნილების კომპლექტი სანკტ-პეტერბურგის ქარხანა „ელექტროსილადან“. განხორციელდა სადერივაციო გვირაბისა და სადაწნეო მილსადენის სარეაბილიტაციო აღდგენითი სამუშაოები.

- გუმათპესების კასკადის №3 ჰიდროაგრეგატზე დამონტაჟდა ტურბინის კვანძის ახალი დეტალები და სტატორი, შესრულდა დაზიანებული როტორის პოლუსების აღდგენითი სამუშაოები, მთლიანად შეიცვალა ხვიათაშორისი და კორპუსული იზოლაცია. მიწოდებული და დამონტაჟებული იქნა ჰიდროაგრეგატის ფუნქციონირებისათვის აუცილებელი 70 კგ/სმ² წნევის კომპრესორისა და რესივერის კომპლექტი. გუმათპესების კასკადის №6 ჰიდროაგრეგატზე მიწოდებული და დამონტაჟებული იქნა ახალი სტატორი. მიმდინარეობდა ტურბინის კვანძის აწყობისა და ჰიდროაგრეგატის ქსელში მიერთებისათვის საჭირო სამუშაოები. შესრულდა №7 ჰიდროაგრეგატის კაპიტალური შეკეთება სტატორის გრაგნილის სრული გადახვევით. შესრულდა საქუსლესა და მიმმართველი საკისრების გაციების სისტემის შეცვლა ახალი მოწყობილობებით. გუმათპესს მიეწოდა 35/6 კვ.-ის 4000 კვა ტრანსფორმატორი და საკონტროლო კაბელები.

- ხორციელდებოდა ლაჯანურპესის წყალმიმღების აკვატორიაში ნაპირსამაგრი სამუშაოები. ამჟამად შესრულდა სოფელ უსახელაურთან ნაპირის გამაგრების სამუშაოები. მოწყობილია 750 მეტრი სიგრძის დამბა.

• ძევრულპესის №2, №3 და №4 აგრეგატებისათვის შეძენილი და მიწოდებული იქნა გაციებისა და შეზეთვის სისტემების ახალი მოწყობილობები.

• დასრულდა ვარციხეპესის ნაპირსამაგრი სამუშაოები

• შეკეთდა ჟინვალპესის უდაწნეო გვირაბი. აღდგენილი იქნა უდაწნეო გამყვანი არხის №10 და №22 პიკეტებზე გვირაბის დაზიანებული მონაკვეთები შესაბამისად 30 და 80 მ მანძილზე, მონგრეული და გამოტანილი იქნა 10 000 კუბური მეტრი ბეტონი და შესრულდა გვირაბის ძირის კაპიტალური შეკეთება 8 კმ მანძილზე. აღნიშნული ღონისძიების გატარების შედეგად გაიზარდა ელექტროსადგურის ფუნქციონირებისა და თბილისის სასმელი წყლით მომარავების საიმედოობა.

• დასრულდა სარეაბილიტაციო სამუშაოები ხრამპესი-2 №1 აგრეგატზე და იგი ფუნქციონირებს შეზღუდვების გარეშე 50 მვტ. სიმძლავრით; სრულდება ხრამპესი-2-ის №2 აგრეგატის ექსპლოატაციაში შეყვანის სამუშაოები. სისტემაში ჩართულია №2 ავტოტრანსფორმატორი. დასრულებულია №2 აგრეგატის გენერატორის კვანძის მართვისა და დაცვის სისტემების მონტაჟი და გაწყობა.

• განხორციელდა საპროექტო და ექსპერტიზის სამუშაოები: კოდორის ხეობაში მცირე ჰესების მშენებლობის და 10/0.4 კვ ძაბვის ქსელების მშენებლობაზე, ლაჯანურპესის, ძევრულპესის, შაორპესის, ვარციხეპესისა და გუმაოპესის სარეაბილიტაციო წინამოსამზადებელი სამუშაოებისათვის, „ხუდონის ჰესის” შესწავლისათვის, რიონპესის წინასადაწნეო მილების შესაცვლელად;

• მცირე ჰესებზე: დამთავრდა ჩირუხი-სანალია ჰესზე ახალი აგრეგატების დამონტაჟება, მდ. ჩირუხის წყალზე 2 მვტ, ხოლო სანალიას წყალზე 1,5 მვტ. სიმძლავრის. შესრულდა საპროექტო სამუშაოები ჩირუხი-სანალია ჰესის ქვესადგურსა და გამთანაბრებელ მილსადენზე, ასევე 35 კვ-ის ე.გ.ხ-ს „ჩირუხი-სანალია ჰესი ოლადაურის” მშენებლობაზე.

კოდორის ხეობაში დამთავრდა 250 კვტ სიმძლავრის „ომარიშარიჰესისა” და 250 კვტ მრამბაპესის მშენებლობა. გაყვანილი იქნა 10/0.4 კვ-ი ელექტროგადამცემი ხაზები ომარიშარაპესიდან სოფლებამდე: ომარიშარა, საკენი, მარცხენა გენწვიში, გვანდრა. მრამბაპესიდან: აუარამდე და ჩხალთამდე, საერთო ჯამში 20 კმ-მდე.

• შესრულდა სს „თბილსრესის“ №3 და №4 ენერგობლოკების გენერატორებისათვის ახალი გრაგნილების მიწოდება და მონტაჟი.

აღნიშნული პროგრამით თბილსრესის №4 ენერგობლოკის სტატორზე დამოწაფდა ახალი გრავნილი. შესრულდა ბლოკების საკუთარი მოხმარების ტრანსფორმატორების კაპიტალური და რეაქტორების შეკეთებითი სამუშაოები. მიმდინარეობდა ენერგობლოკების მართვის ფარისა და ელექტროსადგურის შენობის გადახურვისა და შეკეთებითი სამუშაოები.

- განხორციელდა მოსამზადებელი სამუშაოები ენგურჰესის გაჩერებასთან და სადერევაციო გვირაბის შეკეთებასთან დაკავშირებით. სარეაბილიტაციო აღდგენითი სამუშაოები შესრულდა ენგურჰესის თაღოვან კაშხალზე, სადაწნეო გვირაბზე №3 ჰიდროაგრეგატის ელექტრომექანიკურ მოწყობილობებზე. მნიშვნელოვანი სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარების შედეგად ენგურჰესიდან ზამთრის პერიოდში შესაძლებელი გახდა 700-750 მვტ. სიმძლავრის მიღება.

- განხორციელდა მაღალი და დაბალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზების სარეაბილიტაციო და სარემონტო სამუშაოები: საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემაში შესრულდა სხვადასხვა სახის სარემონტო-აღდგენითი სამუშაოები მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემ ხაზებზე. შესრულდა საპროექტო სამუშაოები 400 კვ "საქართველო-სომხეთის" ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობის მიზნით. დაწყებულია სარეაბილიტაციო სამუშაოები ამ გადამცემი ხაზის შემადგენელი ნაწილის ეგე „მუხრანის“ 74 კმ-იანი მონაკვეთის რეაბილიტაციის მიზნით. განხორციელდა ხრამპესი 2-ის სიმძლავრის სრული შემოყვანა სისტემაში, გაიზარდა დასავლეთ საქართველოდან აღმოსავლეთ საქართველოში ელექტროენერგიის გადადინების სიდიდე. კოდორის ხეობაში (ზემო აფხაზეთი) დასრულდა 10/0,4 კვ ელექტროგადამცემი ხაზების მშენებლობა

- განხორციელდა აღრიცხვიანობის მოწესრიგების ღონისძიებები სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის გამანაწილებელ ქსელში. გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის ელექტროენერგიის აღრიცხვიანობის მოწესრიგების მიზნით შესრულდა რიგი ღონისძიებები რეგიონალური მომხმარებლების კომუნალური და ინდივიდუალური მრიცხველებით გამრიცხველიანების, რეგიონებში ბილინგის სისტემის შექმნისა და სრულყოფის მიზნით.

- ბუნებრივი გაზის სექტორში რეაბილიტაციის ჩატარების მიზნით განხორციელდა სს „დუმეთიგაზის“ და დაბა გუდაურის გაზგამანაწილებელი ქსელის აღრიცხვიანობის მოწესრიგება, დამოწაფებული იქნა გაზის მრიცხველები; დასრულდა ყაზბეგის

რაიონის გაზსადენის გველეთის კვანძის მშენებლობა; ჩატარდა გაზმომარაგების ქსელის მოწესრიგების სამუშაოები;

• ელექტროენერგიით მომარაგების უზრუნველყოფისა და მოქმედი ტარიფების შენარჩუნების ღონისძიებების ფარგლებში სს „თელასს“ და „თბილგაზს“ გამოეყო მნიშვნელოვანი სახსრები. 36 600 ათ. ლარი მიმართულ იქნა თბოელექტროსადგურებში (თბილსრესის №3 და №4 ენერგობლოკები) გამომუშავებული ელ. ენერგიის შესასყიდად, განხორციელდა ელექტროენერგიის და ბუნებრივი აირის იმპორტი აზერბაიჯანიდან და ირანიდან, ასევე განხორციელდა საქართველოს მთავრობის განკარგულებებისა და დადგენილების საფუძველზე სოციალურად დაუცველი ოჯახების (აბონენტების) მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულების კომპენსაციისა და პატარა ლიახვის ხეობის მოსახლეობის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულების ანაზღაურება სადისტრიბუციო კომპანიების მიერ წარმოდგენილი ანგარიშების შესაბამისად.

• ტყიბულის შახტების შენარჩუნების ღონისძიების ფარგლებში შესრულდა ქვანახშირის შახტის ავარიის სალიკვიდაციო სამუშაოები.

• საგურამო-წითელი ზიდის მონაკვეთზე არსებული 700-800 მმ მაგისტრალური გაზსადენის სარეაბილიტაციო ღონისძიების განხორციელების მიზნით, კერძოდ 700-800 მმ გაზსადენის აღდგენითი სამუშაოებისა და ახალი მონაკვეთების მშენებლობისათვის გამოეყო საბიუჯეტო სესხი „გაზის საერთაშორისო კორპორაციას“. აღნიშნული გაზსადენით ხორციელდება ბუნებრივი აირით თბილისის მოსახლეობის დიდი ნაწილისა და მნიშვნელოვანი ობიექტების მომარაგება.

• ენგურპესის გენერაციის ტარიფის ოპტიმიზაციასთან დაკავშირებით ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (ლ) კრედიტის მომსახურების ღონისძიების ფარგლებში მოხდა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის კრედიტის ძირითადი ნაწილის და პროცენტის გადახდა;

• „საქუსენერგოს“ 500 კვ ელექტროგადამცემი ხაზების „იმერეთი“ და „კავკასიონი“ გადაუდებელი სარემონტო სამუშაოების ჩატარების მიზნით გამოეყო სესხი ელექტროგადამცემ ხაზებზე სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩასატარებლად.;


• გატარდა ყაზბეგის რაიონის მოსახლეობის მიერ მოხმარებული ბუნებრივი აირის ღირებულების ანაზღაურების ღონისძიება. მაღალმთიანი რეგიონების მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით თითოეულ აბონენტს აუნაზღაურდა იანვარ-მაისში

მოხმარებული ბუნებრივი გაზის 750 კუბ. მეტრი მოცულობის ღირებულება.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსათვის 2006 წლის განმავლობაში სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებამ შეადგინა 67 992,7 ათასი ლარი, ხოლო გაწეულმა ხარჯმა – 63 166,0 ათასი ლარი, რაც 2005 წლის შესაბამის მაჩვენებელს აღემატება 21 809,7 ათასი ლარით.

2005-2006 წლებში გამოყოფილი დაზუსტებული
ასიგნებები და გაწეული ხარჯები



აღნიშნული ხარჯები ორგანიზაციულ ჭრილში განაწილდა შემდეგი სახით:

(ათასი ლარი)

კოდი	დასახელება	დაზუსტებული გადახდა	საკასო ხარჯი	შესრულება %-ში
37 00	საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო	67 992,7	63 166,0	92,9%
	მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება დამქირავებლიდან ანარიცხები მივლინებები	6 574,3 1 321,4 403,9	6 535,1 1 304,9 384,4	99,4% 98,8% 95,2%

	სხვა საქონელი და მომსახურება სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები კაპიტალური ხარჯები	16 837,0 37 822,6 5 033,5	16 648,0 33 293,7 4 999,9	98,9% 88,0% 99,3%
37 01	საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემა	19 237,9	19 020,7	98,9%
	მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება დამქირავებლიდან ანარიცხები მივლინებები სხვა საქონელი და მომსახურება სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები კაპიტალური ხარჯები	3 855,7 777,6 249,9 9 674,6 84,0 4 596,1	3 818,5 761,7 234,0 9 556,3 84,0 4 566,1	99,0% 97,9% 93,6% 98,8% 100,0% 99,3%
37 01 01	საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცენტრალური აპარატი	15 265,6	15 187,4	99,5%
	მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება დამქირავებლიდან ანარიცხები მივლინებები სხვა საქონელი და მომსახურება სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები კაპიტალური ხარჯები	3 151,5 636,5 243,9 9 283,6 84,0 1 866,1	3 151,5 628,3 234,0 9 223,5 84,0 1 866,1	100,0% 98,7% 95,9% 99,4% 100,0% 100,0%
37 01 02	დასავლეთ საქართველოსა და აღმოსავლეთ საქართველოს სოფლის მეურნეობის რეგიონალური სამმართველოები	145,9	16,1	11,0%
	მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება დამქირავებლიდან ანარიცხები მივლინებები სხვა საქონელი და მომსახურება კაპიტალური ხარჯები	49,9 10,0 6,0 50,0 30,0	13,4 2,7 0,0 0,0 0,0	26,9% 26,8% 0,0% 0,0% 0,0%
37 01 03	პროგრამა „ჩაი“	290,0	282,9	97,5%
	სხვა საქონელი და მომსახურება	290,0	282,9	97,5%
37 01 06	პრეზიდენტის ნაციონალური პროგრამა „სასოფლო- სამეურნეო მანქანა-დანადგარებით უზრუნველყოფა“	2 700,0	2 700,0	100,0%
	კაპიტალური ხარჯები	2 700,0	2 700,0	100,0%
37 01 07	მეცნიელების სანაშენე საქმის განვითარება	51,0	49,9	97,9%
	სხვა საქონელი და მომსახურება	51,0	49,9	97,9%
37 01 08	სამინისტროს სისტემის რეფორმის მიზნით გასატარებელი ღონისძიებები (საკომპენსაციო თანხა)	785,5	784,4	99,9%
	მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება დამქირავებლიდან ანარიცხები	654,3 131,2	653,6 130,7	99,9% 99,7%


37 02	სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტი	4 769,5	4 758,0	99,8%
	მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება დამქირავებლიდან ანარიცხები მივლინებები სხვა საქონელი და მომსახურება კაპიტალური ხარჯები	1 414,6 282,9 54,0 2 962,0 56,0	1 412,6 282,4 50,4 2 960,2 52,4	99,9% 99,8% 93,3% 99,9% 93,6%
37 02 01	სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტის აპარატი	618,6	610,7	98,7%
	მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება დამქირავებლიდან ანარიცხები მივლინებები სხვა საქონელი და მომსახურება კაპიტალური ხარჯები	408,4 81,7 24,0 84,5 20,0	408,4 81,7 20,6 83,7 16,4	100,0% 100,0% 85,7% 99,0% 82,0%
37 02 02	სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტის დაქვემდებარებული სამსახურები	1 368,4	1 364,8	99,7%
	მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება დამქირავებლიდან ანარიცხები მივლინებები სხვა საქონელი და მომსახურება კაპიტალური ხარჯები	1 006,2 201,2 30,0 95,0 36,0	1 004,2 200,7 29,8 94,1 36,0	99,8% 99,7% 99,4% 99,0% 100,0%
37 02 03	პროგრამა „მიწების მელიორაციის განვითარება სურსათით უზრუნველყოფისათვის“	2 782,5	2 782,4	100,0%
	სხვა საქონელი და მომსახურება	2 782,5	2 782,4	100,0%
37 03	სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური	6 019,7	6 012,3	99,9%
	მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება დამქირავებლიდან ანარიცხები მივლინებები სხვა საქონელი და მომსახურება კაპიტალური ხარჯები	1 304,0 260,8 100,0 3 973,5 381,4	1 304,0 260,8 100,0 3 966,1 381,4	100,0% 100,0% 100,0% 99,8% 100,0%
37 03 01	სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახურის აპარატი	2 412,5	2 412,4	100,0%
	მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება დამქირავებლიდან ანარიცხები მივლინებები სხვა საქონელი და მომსახურება კაპიტალური ხარჯები	1 304,0 260,8 45,0 448,9 353,8	1 304,0 260,8 45,0 448,8 353,7	100,0% 100,0% 100,0% 100,0% 100,0%
37 03 02	პროგრამა „სასურსათო პროდუქტების ლაბორატორიული კვლევა“	19,9	19,9	100,0%

	სხვა საქონელი და მომსახურება	19,9	19,9	100,0%
37 03 03	პროგრამა „ეპიზოოლის საწინააღმდეგო ღონისძიებები“	3 242,2	3 236,6	99,8%
	მივლინებები	55,0	55,0	100,0%
	სხვა საქონელი და მომსახურება	3 159,6	3 154,0	99,8%
	კაპიტალური ზარჯები	27,7	27,6	99,9%
37 03 04	პროგრამა „მცენარეთა დაცვა“	345,1	343,3	99,5%
	სხვა საქონელი და მომსახურება	345,1	343,3	99,5%
37 04	საჯარო სამართლის ოურიდიული პირი – ვაზისა და ღვინის დეპარტამენტი „სამტრესტი“	1 257,2	1 191,8	94,8%
	სხვა საქონელი და მომსახურება	227,0	165,4	72,9%
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	1 030,2	1 026,3	99,6%
37 04 01	ვაზისა და ღვინის დეპარტამენტი „სამტრესტი“ აპარატი	1 030,2	1 026,3	99,6%
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	1 030,2	1 026,3	99,6%
37 04 02	პროგრამა ადგილური მომრმადის დასახელების ღვინოების წარმოებისათვის საჭირო სანედლეულო ბაზის გეოგრაფიული არეალის განსაზღვრა-დადგენა და ამ ზონებში არსებული ნარგაობის ინვენტარიზაცია და პასპორტიზაცია	227,0	165,4	72,9%
	სხვა საქონელი და მომსახურება	227,0	165,4	72,9%
37 05	საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია	490,0	483,8	98,7%
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	490,0	483,8	98,7%
37 21	ამერიკის შეერთებული შტატებიდან ჰუმანიტარული დახმარების სახით მიღებული 50 ათასი ტონა სასურსათო ხორბლის რეალიზაციიდან ამონაგები თანხებით სასოფლო-სამეურნეო მანქანა-დანადგარების შესყიდვა	9 000,0	8 893,8	98,8%
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	9 000,0	8 893,8	98,8%
37 22	ამერიკის შეერთებული შტატებიდან ჰუმანიტარული დახმარების სახით მიღებული სასურსათო ხორბლის რეალიზაციიდან ამონაგები თანხებით სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მეთესლეობის განვითარების ღონისძიებები	6 552,2	6 500,0	99,2%
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	6 552,2	6 500,0	99,2%
37 23	უცხოეთიდან მიღებული დაფინანსების წყაროებითა და გრანტებით განსახორციელებელი საინვესტიციო პროექტები და ამ პროექტების თანამონაწილეობისა და თანადაფინანსების ზარჯები	20 666,2	16 305,7	78,9%
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	20 666,2	16 305,7	78,9%
37 23 01	სოფლის განვითარების პროექტი	1 920,1	1 276,4	66,5%

	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	1 920,1	1 276,4	66,5%
37 23 02	ირიგაციისა და დრენაჟის მომხმარებელთა ორგანიზაციების განვითარების პროექტი	13 550,4	13 547,2	100,0%
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	13 550,4	13 547,2	100,0%
37 23 04	სასოფლო-სამეურნეო კვლევის, დანერგვა კონსულტირების და სწავლების პროექტი	2 551,8	1 242,1	48,7%
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	2 551,8	1 242,1	48,7%
37 23 05	მთიანი და მაღალმთიანი რეგიონების განვითარების პროგრამა	2 026,9	240,0	11,8%
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	2 026,9	240,0	11,8%
37 23 06	ფრინველის გრიპის კონტროლისა და ადამიანებში პანდემისათვის მზადყოფნისა და რეაგირების პროექტი	617,0	0,0	0,0%
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	617,0	0,0	0,0%

ეკონომიკური კლასიფიკაციის „მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების“ მუხლის წილმა მთლიან ხარჯებში 10.3% შეადგინა, „დამქირავებლიდან ანარიცხებმა“ – 2.1%, „მივლინებამ“ – 0.6%, „სხვა საქონელმა და მომსახურებამ“ – 26.4%, „სუბსიდიებმა, სუბვენციებმა და მიმდინარე ტრანსფერებმა“ – 52.7%, ხოლო „კაპიტალურმა ხარჯებმა“ – 7.9%.

2006 წლის განმავლობაში გაწეული ხარჯების სტრუქტურა ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით



2006 წელს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ სოფლის მეურნეობაში დასაქმებული მოსახლეობისათვის განხორციელდა მინერალური სასუქით დახმარების ღონისძიება. აღნიშნული მიზნით, მინერალური სასუქის შესაძენად და მისი რეგიონებამდე ტრანსპორტირებისათვის გამოყოფილ იქნა 7 100 000 ლარი.

პროგრამა „ჩაი“

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში განხორციელდა ჩაის პლანტაციების ღრმა შპალერული ანუ დამადაბლებელი და ნახევრადმიმე გასხვლა. მათ შორის: სამეგრელოში 130 ჰექტარზე ნახევრად მძიმე და 180 ჰექტარზე ღრმა შპალერული გასხვლა, გურიაში შესაბამისად – 6 და 24 ჰექტარზე და აჭარაში 65 და 85 ჰექტარზე.

პრეზიდენტის ნაციონალური პროგრამა „სასოფლო-სამეურნეო მანქანა-დანადგარებით უზრუნველყოფა“

პროგრამის ფარგლებში განხორციელდა 75 ტრაქტორის და სამკორპუსიანი გუთნების შეძენა აგროსაინჟინრო სერვისული ცენტრების ეფექტური მუშაობის მიზნით.

პროგრამა „მეცნოველეობის სანაშენე საქმის განვითარება“

პროგრამის ფარგლებში საქართველოს ეთნოგრაფიული მუზეუმის ტერიტორიაზე მოეწყო მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის გამოფენა-კონკურსი, რომელზეც მოწვეულ უცხოელ ექსპერტებთან ერთად შერჩეულ იქნა სანაშენედ ვარგისი საუკეთესო პოლშტინოფრიზული, კავკასიური წაბლა (შვიცური), მეგრული წითელი და ქართული მთის (ხევსურული) ჯიშები და გამოვლენილ იქნა მაღალპროდუქტიული პირუტყვი.

პროგრამა „მიწების მელიორაციის განვითარება სურსათით უზრუნველყოფისათვის“

ირიგაციული სისტემების მოვლა-პატრონობა – შეკეთებულ იქნა 27 ერთეული სათავე ნაგებობა და ჰიდროტექნიკური კვანძი, აგრეთვე თბილისის წყალსაცავზე წყალმიმღები კოშკის წყალსაცავი. კერძოდ: მოწესრიგდა ზემო და ქვემო მაგისტრალურ არხებზე წყალგამშვები კვანძების ფარები, ტბისი-კუმისის სარწყავი სისტემის დამეწყრილ უბნებზე აღდგნილ იქნა გამანაწილებლის დაზიანებული მონაკვეთი, შეკეთებულ იქნა გარდაბნის სარწყავი სისტემის ქიჩიკის არხი, მდ. დებედაზე ვაზიანის არხის წყალმიმღები კედელი, ხრამ არხისა და შუა უბნის არხის სოფელ კავთისხევში გამავალ უბანზე გატარდა ფილტრაციის მოსაწესრიგებელი ღონისძიებები, ახალი სადახლოს სარწყავ სისტემაზე გატარდა დებედას დიუკერის, აგრეთვე სიონის მაგისტრალური არხის აღდგენის დროებითი ღონისძიებები, თეზი-ოკამის მაგისტრალურ არხზე მდებარე ფოლადის აკვედუკის უბანზე განხორციელდა მეწყერის საწინააღმდეგო ღონისძიებები, ჩატარდა კეხვის სათავე ნაგებობის წყალმიმღები გალერეის ბეტონის კედლების მოწესრიგების სამუშაოები, შეკეთებულ იქნა კეხვის მაგისტრალურ არხზე მდებარე აკვედუკები, განხორციელდა კეხვის სარწყავი სისტემის მარცხენა მაგისტრალურ არხზე დაზიანებული აკვედუკის აღდგენა და ხეითი-თამარაშენის დიუკერის დროებითი მოწესრიგების სამუშაოები, ტირიფონის მაგისტრალურ არხზე მოწესრიგებულ იქნა არსებული ჰიდროტექნიკური ნაგებობები (აკვედუკები, სრაფდენი), მდ. დიდ ლიახვზე მოეწყო მაგისტრალური არხებისათვის სათავე ჰიდროგვანძები (ძლევიჯვარი), აღდგენილ იქნა სკრა-ქარელის მაგისტრალური არხის დაზიანებული მონაკვეთი, გატარდა სკრა-ქარელის მაგისტრალური არხის, მდინარე ძამასთან გადაკვეთაზე არსებული დიუკერის სათავისების მოწესრიგების სამუშაოები, სოფ. წილგანთან ლამი-მისაქციელის მაგისტრალურ არხზე განხორციელდა ფილტრაციული მონაკვეთის, აჯამეთის მაგისტრალური არხის მდ. ლუხუთას გადაკვეთაზე არსებული აკვედუკის და ნაურდლის სარწყავი სისტემის მაგისტრალურ არხზე მდ. დიდხევის გადაკვეთასთან არსებული დიუკერის მოწესრიგების სამუშაოები, სოფ. შალაურთან აღდგენილ იქნა ზემო ალაზნის მაგისტრალური არხი, განხორციელდა ზემო ალაზნის სარწყავი სისტემის მაგისტრალურ არხზე მდებარე ქისტაურის დიუკერის, ქვემო სამგორის სარწყავი სისტემის მარცხენა და მარჯვენა მაგისტრალურ არხებზე წყალგამშვები არხების კვანძების მოწესრიგების სამუშაოები, დანალექისგან გაიწმინდა 304 კმ მაგისტრალური და ჰიდროლი რიგის გამანაწილებელი არხები. საირიგაციო

სისტემებზე ჩატარებული სამუშაოების შედეგად უზრუნველყოფილ იქნა 126 ათასი ჰექტარ/რწყვის ჩატარება.

განხორციელდა წყალდიდობის საწინააღმდეგო ღონისძიებები, კერძოდ: პალდოს სათავე ნაგებობის ქვედა ბიეფის ნაპირსამაგრი სამუშაოები. აგრეთვე, აღდგენილ იქნა ნაპირდამცავი დამბა მდ. შრომის ხევზე, ლაგოდეხის რაიონში და მდ. ბუუჯაზე არსებული სათავე წყალმიმღები ნაგებობა ოზურგეთის რაიონის სოფ. შემოქმედში. ჩატარებული სამუშაოების შედეგად, უზრუნველყოფილი იქნა ზემოთჩამოთვლილი ობიექტების საიმედო დაცვა წყალდიდობებისაგან.

დრენაჟის სისტემის მოვლა-პატრონობა – დანალექისაგან გაიწმინდა 36,4 კილომეტრის დამშრობი მაგისტრალური არხები და კოლექტორები, მათ შორის: მაგისტრალური არხი მ-3, ხობის რაიონში ჭალადიდის მასივის მ-1-11 კოლექტორი, დამშრობი არხები, ხელვაჩაურის რაიონში ურდეს დამშრობი არხი, ქობულეთის რაიონში ჩოლოქის დამშრობი მასივის კ-1 კოლექტორი, ქობულეთის რაიონში ჩოლოქის დამშრობი მასივის კ-1-1 კოლექტორი, სოფ. გიორგეთის დამშრობი №1, №2 და №3 არხები, ქობულეთის რაიონში აჭყვის დამშრობი მასივის კ-11 კოლექტორი.

წყალდიდობის საწინააღმდეგო სამუშაოები განხორციელდა ერთ საშიშ კერაზე, კერძოდ, ჩხოროწყუს რაიონში მდ. ოჩხომურზე გატარდა შესაბამისი ღონისძიებები დამშრობ სისტემაზე.

მექანიკური სისტემების მოვლა-პატრონობა – შეკეთდა 21 სატუმბი სადგური, მათ შორის: იაღლუჯის, თელეთის №1, თელეთის №2, ფონიჭალის №1, ნაოხრების, ფარეხას №1, აბათხევის, წყალთბილას, მინაძეების, ვარნეთის, ზაკი-ზანდო-კოთელიას, თეძამის №1, თეძამის №6, ძარწემის, ხურვალეთის, იმირასანის, ასამალარის, კაჩაგანის, მუღანლოს, პატარა ფოთის №1 და №2 სატუმბი სადგურები. შედეგად, წყლის მექანიკური აწევით სარწყავ სავარგულებზე სატუმბი სადგურებიდან მიწოდებულ იქნა 926 ათასი მ³ წყალი.

შეკეთდა 5 ერთეული ჰიდროტექნიკური კვანძი. კერძოდ, ჩატარდა იაღლუჯის სატუმბი სადგურის ელექტრომომარაგების სარეზერვო 6 კვ საპარო ხაზის, ცენტრალური საშიბერო კამერის, ელექტრო მოწყობილობების გაზომვითი და დამიწების მოწესრიგების, აგრეთვე, იაღლუჯის სატუმბი სადგურის ელექტროძრავის სარემონტო, ყარადუზის სატუმბი სადგურის სადაწნეო მილსადენის დაზიანებული მონაკვეთის

შეკეთების, ახლოს (დამია-გურარხის) სატუმბი სადგურის და სარწყავი სისტემის მოწესრიგების სამუშაოები.

პროგრამა „ეპიზოოტიის საწინააღმდეგო ღონისძიებები“

აღნიშნული პროგრამით სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახურის დაფინანსების ფარგლებში შეძენილ იქნა შემდეგი ვაქცინები: თურქული „აო“ 1 289 818 დოზა, ჯილების 1 884 500 დოზა და ცოფის 311 000 დოზა ვაქცინა. აგრეთვე, შეძენილ იქნა დიაგნოსტიკუმები: ჯილების საპრეტიპიტაციო შრატი, ბრუცელოზის „როზბენგალის“ ანტიგენი, ცოფის სადიაგნოსტიკო გლობულინი „დაფი“. შეძენილი ვაქცინებით განხორციელდა მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვისა და ცხენების აცრითი ღონისძიებები.

პროგრამა „ეპიზოოტიის საწინააღმდეგო ღონისძიებები“-ს მიხედვით ჩატარებული ვაქცინაციის შედეგად თურქულის დაავადების გამოვლინებას ადგილი არ ჰქონია. ჯილებზე ჩატარებულმა ვაქცინაციამ ძირითადად უზრუნველყო სტაბილური ეპიზოოტიური კეთილსამედობის შენარჩუნება. ბრუცელოზზე სისხლის სადიაგნოსტიკო გამოკვლევით გამოვლინდა 71 სული დაავადებული პირუტყვი, რომელიც დაიკლა ვეტერინარული წესების დაცვით და თავიდან იქნა აცილებული ამ დაავადების სხვა პირუტყვზე გავრცელება და ადამიანების დასწებოვნება.

პროგრამა „სასურსათო პროდუქტების ლაბორატორიული კვლევა“

საანგარიშო პერიოდში პროგრამაზე გათვალისწინებული თანხები მოხმარდა აკრედიტირებულ ლაბორატორიებში სურსათის ანალიზს, რომლის შედეგადაც გამოკვლეულ იქნა სხვადასხვა სავაჭრო ქსელიდან, საზოგადოებრივი კვების ობიექტიდან და საწარმოდან აღებული ღვინის 94 ნიმუში. მათ შორის ფალსიფიცირებული აღმოჩნდა 27 ნიმუში, 23 გადაეცა ფინანსურ პოლიციას სათანადო რეაგირებისათვის.

აგრეთვე, ქალაქ თბილისის სავაჭრო ობიექტებში ნიჭრატების შემცველობაზე 2006 წლის დეკემბერში გამოკვლეულ იქნა ბოსტნეულის და ბალჩეულის 36 ნიმუში და მისი შემცველობა ნორმის ფარგლებში აღმოჩნდა.

პროგრამა „მცენარეთა დაცვა“

პროგრამის ფარგლებში 2006 წელს შეძენილ იქნა 7 300 ლიტრი ინსექტიციდი, რომელიც მოხმარდა დასავლეთ საქართველოს რეგიონებში (გურია, სამეგრელო, იმერეთი) მცენარეთა საკარანტინო და

განსაკუთრებით საშიში მავნებლების – ამერიკული თეთრი პეპელას და მდელოს ხეატარის გავრცელების საწინააღმდეგო ღონისძიებებს. მავნებლების სალიკვიდაციო სამუშაოები ჩატარებულია 10 000 ჰა ფართობზე – სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე, მრავალწლიან ნარგავებზე, რითაც მოხდა მავნებლების კერების ლიკვიდაცია.

კახეთის რეგიონის ორ მიკროზონაში არსებული მიკრომეტრეოსადგურები ჩართული იქნა საინფორმაციო ქსელში, შეიქმნა მონაცემთა მიღების ბაზა და პროგნოზირების სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ქიმიური წამლობის რაოდენობათა ოპტიმიზაციას და ჩატარებული ღონისძიებების ეფექტიანობის ზრდას.

პროგრამა „ადგილწარმოშობის დასახელების ღვინოების წარმოებისათვის საჭირო სანედლეული ბაზის გეოგრაფიული არეალის განსაზღვრა-დადგენა და ამ ზონებში არსებული ნარგაობის ინვენტარიზაცია და პასპორტიზაცია“

სსიპ – ვაზისა და ღვინის დეპარტამენტ „სამტრესტსა“ და სსიპ – საქართველოს მებალეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის ინსტიტუტს შორის გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად მებალეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის ინსტიტუტმა ადგილწარმოშობის დასახელების ღვინოების წარმოებისათვის განსაზღვრა და დაადგინა საჭირო სანედლეულო ბაზა თერთმეტ ზონაში, ხოლო მევენახეობის სპეციფიკურ ზონებში არსებული ნარგაობის ინვენტარიზაცია-პასპორტიზაცია ჩატარებულ იქნა მხოლოდ ხუთ ზონაში („ახაშენი“, „მუკუზანი“, „ქინძმარაული“, „მანავი“, „ხვანჭკარა“).

პროგრამის ფარგლებში დადგინდა 11 ადგილწარმოშობის დასახელების ღვინის სპეციფიკური ზონის საზღვრები, განისაზღვრა ამ კატეგორიის ღვინოების მახასიათებლები. შეიქმნა იურიდიული საფუძველი მათი დარეგისტრირებისათვის, ქართული დასახელებების დაცვის მიზნით ევროგაერთიანების, თანამეგობრობისა და სხვა ქვეყნებთან შეთანხმებების გასაფორმებლად.


პროგრამით გათვალისწინებული მევენახეობის სპეციფიკურ ზონებში არსებული ნარგაობის ინვენტარიზაცია-პასპორტიზაციის შედეგად შეიქმნა საინფორმაციო ბანკი 5 სპეციფიკურ ზონაში (“ახაშენი”, “მუკუზანი”, “ქინძმარაული”, “მანავი”, “ხვანჭკარა”), რომელიც მოიცავს ინფორმაციას არსებული ადგილწარმოშობის დასახელების ღვინოებისათვის განკუთვნილი ვენახების ფართის, ადგილმდებარეობის, ვაზის ჯიშის, მფლობელის, მსხმოიარობისა და მოსალოდნელი მოსავლიანობის შესახებ,

რაც საშუალებას იძლევა რეალურად განხორციელდეს სახელმწიფო კონტროლი ადგილწარმოშობის დასახელების ღვინოების წარმოებაზე, დადგინდეს ამ კატეგორიის ღვინოების არსებული რესურსები, პროგნოზირებულ იქნეს პროდუქციის მოცულობა და განისაზღვროს დარგის განვითარების პერსპექტივები.

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსათვის 2006 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 31 824.0 ათასი ლარი, ხოლო გაწეულმა ხარჯმა – 29 157.6 ათასი ლარი, რაც 2005 წლის შესაბამის მაჩვენებელს აღემატება 4 679.3 ათასი ლარით.

2005-2006 წლებში გამოყოფილი დაზუსტებული ასიგნებები და გაწეული ხარჯები



აღნიშნული ხარჯები ორგანიზაციულ ჭრილში განაწილდა შემდეგი სახით:

(ათასი ლარი)

ორგანიზაციის ული	დასახელება	დაზუსტებული გეგმა	საკასო ხარჯი	შესრულება %-ში
38 00	საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო	31 824,0	29 157,6	91,6%
	მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება დამქირავებლიდან ანარიცხები მივლინებები სხვა საქონელი და მომსახურება სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები კაპიტალური ხარჯები	8 450,5 1 688,0 269,1 1 592,4 18 128,0 1 696,0	8 440,2 1 683,0 257,7 1 579,0 15 519,1 1 678,6	99,9% 99,7% 95,8% 99,2% 85,6% 99,0%
38 01	საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს აპარატი	3 824,8	3 794,2	99,2%
	მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება დამქირავებლიდან ანარიცხები მივლინებები სხვა საქონელი და მომსახურება სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები კაპიტალური ხარჯები	1 644,1 329,4 80,0 693,1 33,0 1 045,2	1 644,1 328,8 78,4 682,7 26,8 1 033,4	100,0% 99,8% 98,0% 98,5% 81,3% 98,9%
38 03	საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოები	670,6	664,0	99,0%
	მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება დამქირავებლიდან ანარიცხები მივლინებები სხვა საქონელი და მომსახურება კაპიტალური ხარჯები	439,3 87,8 45,6 50,0 48,0	437,1 87,4 42,7 49,4 47,5	99,5% 99,6% 93,6% 98,7% 98,9%
38 05	საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს პროგრამები	310,0	294,6	95,0%
	მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება დამქირავებლიდან ანარიცხები სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	116,6 23,4 170,0	116,6 23,3 154,8	100,0% 99,6% 91,0%
38 05 01	„საქართველოს მოსახლეობის რადიაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფა“	40,0	35,1	87,8%
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	40,0	35,1	87,8%
38 05 02	„მათალი ეკოლოგიური რისკის მქონე ობიექტების მშენებლობისა და ოპერირების პერიოდში გარემოსდაცვითი მონიტორინგი“	80,0	74,0	92,5%

	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	80,0	74,0	92,5%
38 05 03	ექსპერტიზის ჩატარების უზრუნველყოფის ღონისძიებები	50,0	45,7	91,4%
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	50,0	45,7	91,4%
38 05 04	სამინისტროს სისტემის ოფირმის მიზნით გასატარებელი ღონისძიებები (საკომპენსაციო თანხა)	140,0	139,9	99,9%
	მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება დამქირავებლიდან ანარიცხები	116,6	116,6	100,0%
	დაცული ტერიტორიების დეპარტამენტი	23,4	23,3	99,6%
38 09	დაცული ტერიტორიების დეპარტამენტი	1 486,3	1 471,7	99,0%
	მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება დამქირავებლიდან ანარიცხები	518,1	515,3	99,5%
	მივლინებები	102,1	101,5	99,4%
	სხვა საქონელი და მომსახურება	20,0	16,6	83,2%
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	38,3	37,2	97,1%
	კაპიტალური ხარჯები	802,8	796,1	99,2%
	კაპიტალური ხარჯები	5,0	5,0	99,9%
38 09 01	დაცული ტერიტორიების დეპარტამენტის აპარატი	210,1	209,3	99,7%
	მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება დამქირავებლიდან ანარიცხები	151,7	151,7	100,0%
	მივლინებები	30,4	30,4	100,0%
	სხვა საქონელი და მომსახურება	10,0	9,5	94,5%
	სხვა საქონელი და მომსახურება	13,0	12,8	98,7%
	კაპიტალური ხარჯები	5,0	5,0	99,9%
38 09 02	დაცული ტერიტორიების დეპარტამენტის დაქვემდებარებული ორგანიზაციები	752,8	752,5	100,0%
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	752,8	752,5	100,0%
38 09 02 01	ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის და ბორჯომის სახელმწიფო ნაკრძალის ადმინისტრაცია	401,0	401,0	100,0%
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	401,0	401,0	100,0%
38 09 02 02	კოლხეთის ეროვნული პარკის და კოლხეთის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიის ადმინისტრაცია	125,8	125,6	99,8%
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	125,8	125,6	99,8%
38 09 02 03	ქობულეთის სახელმწიფო ნაკრძალის, ქობულეთის ადგვეთილის და ქობულეთის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიის ადმინისტრაცია	28,0	28,0	100,0%
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	28,0	28,0	100,0%


38 09 02 04	დანარჩენი ეროვნული პარკები, ნაკრძალები და აღკვეთილები	198,0	198,0	100,0%
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	198,0	198,0	100,0%
38 09 03	ტერიტორიული ორგანოები	473,4	466,2	98,5%
	მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება დამქირავებლიდან ანარიცხები მივლინებები სხვა საქონელი და მომსახურება	366,4 71,7 10,0 25,3	363,6 71,1 7,2 24,3	99,2% 99,2% 71,8% 96,2%
38 09 04	პროგრამა „დაცული ტერიტორიების მაგნებლებისაგან დაცვის ღონისძიებები“	50,0	43,6	87,2%
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	50,0	43,6	87,2%
38 10	სატყეო მეურნეობის დეპარტამენტი	6 705,1	6 685,1	99,7%
	მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება დამქირავებლიდან ანარიცხები მივლინებები სხვა საქონელი და მომსახურება სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები კაპიტალური ხარჯები	4 152,7 829,4 59,0 161,7 1 243,3 259,0	4 147,5 826,1 58,0 160,7 1 238,8 254,1	99,9% 99,6% 98,3% 99,4% 99,6% 98,1%
38 10 01	სატყეო მეურნეობის დეპარტამენტის აპარატი	375,9	375,1	99,8%
	მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება დამქირავებლიდან ანარიცხები მივლინებები სხვა საქონელი და მომსახურება კაპიტალური ხარჯები	222,0 43,2 19,0 61,7 30,0	221,8 43,1 18,5 61,7 30,0	99,9% 99,9% 97,3% 99,9% 100,0%
38 10 02	სატყეო მეურნეობის დეპარტამენტის დაქვემდებარებული ორგანიზაციები	5 085,9	5 071,2	99,7%
	მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება დამქირავებლიდან ანარიცხები მივლინებები სხვა საქონელი და მომსახურება კაპიტალური ხარჯები	3 930,7 786,2 40,0 100,0 229,0	3 925,7 782,9 39,5 99,1 224,1	99,9% 99,6% 98,7% 99,1% 97,8%
38 10 03	სატყეო მეურნეობის დეპარტამენტის პროგრამები	1 243,3	1 238,8	99,6%
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	1 243,3	1 238,8	99,6%
38 10 03 01	„ტყეომოწყობა“	134,3	134,3	100,0%
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	134,3	134,3	100,0%

38 10 03 02	„ტყის დაცვა, აღდგენა-განახლება და ტყითსარგებლობა“	1 109,0	1 104,5	99,6%
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	1 109,0	1 104,5	99,6%
38 15	გარემოს დაცვის ინსპექცია	2 948,3	2 945,4	99,9%
	მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება დამქირავებლიდან ანარიცხები მივლინებები სხვა საქონელი და მომსახურება კაპიტალური ხარჯები	1 579,7 316,0 64,5 649,3 338,8	1 579,7 316,0 62,0 649,0 338,7	100,0% 100,0% 96,1% 100,0% 100,0%
38 15 01	გარემოს დაცვის ინსპექციის აპარატი	1 193,3	1 192,3	99,9%
	მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება დამქირავებლიდან ანარიცხები მივლინებები სხვა საქონელი და მომსახურება კაპიტალური ხარჯები	493,9 98,8 48,0 359,8 192,8	493,9 98,8 47,2 359,7 192,7	100,0% 100,0% 98,3% 100,0% 100,0%
38 15 02	გარემოს დაცვის ინსპექციის ტერიტორიული ორგანოები	1 755,0	1 753,1	99,9%
	მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება დამქირავებლიდან ანარიცხები მივლინებები სხვა საქონელი და მომსახურება კაპიტალური ხარჯები	1 085,8 217,2 16,5 289,5 146,0	1 085,8 217,2 14,8 289,3 146,0	100,0% 100,0% 89,7% 99,9% 100,0%
38 16	სივრცული ინფორმაციის ცენტრი	100,0	99,9	99,9%
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	100,0	99,9	99,9%
38 17	მონიტორინგისა და პროგნოზირების ცენტრი	2 309,3	2 231,9	96,6%
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	2 309,3	2 231,9	96,6%
38 18	უცხოეთიდან მიღებული დაფინანსების წყაროებითა და გრანტებით განსახორციელებელი საინვესტიციო პროექტები და ამ პროექტებში თანამონაწილეობისა და თანადაფინანსების ხარჯები	13 469,6	10 970,8	81,4%
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	13 469,6	10 970,8	81,4%
38 18 02	ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის დამხმარე ზონის კომუნალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია	420,0	383,6	91,3%
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	420,0	383,6	91,3%
38 18 04	დაცული ტერიტორიების განვითარების პროექტი	3 167,4	2 832,1	89,4%
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე	3 167,4	2 832,1	89,4%

ტრანსფერები					
38 18 05	სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვის პროექტი	3 736,2	3 131,0	83,8%	
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	3 736,2	3 131,0	83,8%	
38 18 06	სატყეო სექტორის განვითარების პროექტი	4 563,9	3 105,1	68,0%	
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	4 563,9	3 105,1	68,0%	
38 18 07	კოლხეთის დაბლობზე მცხოვრები მოსახლეობის სოციალური უსაფრთხოების გაუმჯობესების პროექტი	1 011,0	979,6	96,9%	
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	1 011,0	979,6	96,9%	
38 18 08	ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული ტყე-პარკის პროგრამა	31,7	0,0	0,0%	
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	31,7	0,0	0,0%	
38 18 10	ციფრული და ტოპოგრაფიული რუკების შექმნა საქართველოში	539,4	539,4	100,0%	
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	539,4	539,4	100,0%	

ეკონომიკური კლასიფიკაციის „მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების“ მუხლის წილმა მთლიან ხარჯებში 28.9%-ი შეადგინა, „დამქირავებლიდან ანარიცხებმა“ – 5.8%, „მივლინებამ“ – 0.9%, „სხვა საქონელმა და მომსახურებამ“ – 5.4%, „სუბსიდიებმა, სუბვენციებმა და მიმდინარე ტრანსფერებმა“ – 53.2%, ხოლო „კაპიტალურმა ხარჯებმა“ – 5.8%.

2006 წელს გაწეული ხარჯების სტრუქტურა ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით



სტრატეგიული მიმართულება – გარემოს დაცვის სისტემის სრულყოფა

- შემუშავდა გარემოს დაცვის ინსპექციის 2007-2010 წლების ეროვნული სტრატეგიული გეგმის პროექტი.
- შემუშავდა სახელმწიფო ინსპექტირებისა და მასთან დაკავშირებული საქმის წარმოების ინსტრუქცია.
- შემუშავდა გარემოსათვის მიყენებული ზიანის გაანგარიშების ეფექტური მეთოდიკა.
- დაიწყო რეგულირების ობიექტების სრულყოფილი, ავტომატიზირებული მონაცემთა ბაზის შექმნისა და ბუნებათმოსარგებლეთა იდენტიფიკაციის პროცესი.
- გარემოს დაცვის ინსპექციის მიერ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გამოვლენილ იქნა გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევის 2 959 ფაქტი. აქედან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის 2 674 ფაქტი, ხოლო სისხლის სამართლის ნიშნების მქონე 285 ფაქტი. დაკისრებული ჯარიმის ოდენობაში შეადგინა 963.9 ათასი ლარი.
- ცხოველთა სამყაროს ობიექტებით სარგებლობის გენერალური ლიცენზიის პირობების შესრულების მდგომარეობის შესწავლის მიზნით შემოწმებულ იქნა 10 სამონადირეო მეურნეობა და შემოწმების მასალების საფუძველზე გაუქმდა 3 ლიცენზია.

— გარემოს დაცვის ინსპექციის ტერიტორიულ ორგანოებში ამოქმედდა „ცხელი ხაზი“. საანგარიშო წლის განმავლობაში შემოსულია 351 შეტყობინება.

— 2006 წელს შეიქმნა გარემოს დაცვის ინსპექციის ახალი დანაყოფი — ზემო აფხაზეთის ბიურო. ბიუროს გადაეცა 2 ერთეული ავტომანქანა.

— საანგარიშო პერიოდის განმავლობაში დაინტერესებულ უწყებებს შორის ურთიერთთანამშრომლობის, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში ორგანიზებული შეხვედრებისა და კონსულტაციების შედეგად მუშავდებოდა:

- ნარჩენების შესახებ კანონპროექტი;
- მდგრად ორგანულ დამაბინძურებლებთან დაკავშირებით ეროვნული სამოქმედო გეგმა;
- საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის სტრატეგია.

— ქვეყანაში მიმდინარე და დაგეგმილი გარემოსდაცვითი პროექტების კოორდინაციის გაძლიერებისა და მათი მიზნების დუბლირების გამორიცხვის მიზნით მოხდა ყველა მიმდინარე თუ დაგეგმილი გარემოსდაცვითი პროექტების ინვენტარიზაცია, რის საფუძველზეც განხორციელდა პროექტების თემატური სისტემატიზირება.

— შემუშავდა „თუშეთის ეროვნული პარკისა“ და „ქობულეთის სახელმწიფო ნაკრძალისა და აღკვეთილის“ მართვის გეგმები.

- დასრულდა ჭაჭუნის აღკვეთილის სადემარკაციო სამუშაოები.

პროგრამა — „საქართველოს მოსახლეობის რადიაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფა“

პროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

— მოსახლეობის რადიაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფის სისტემის სრულყოფისა და ქმედითობის ამაღლების მიზნით შემუშავებული იქნა „ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტი;

— დასრულდა ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს მიერ შემოთავაზებული რადიაციული წყაროების აღრიცხვა-ინვენტარიზაციისათვის საჭირო მონაცემთა ბაზის პროგრამული

უზრუნველყოფის (ლ Iშ) ქართულენოვანი ვერსიის შექმნის ტესტირების ფაზის ძირითადი ნაწილი;

— ქვემო ქართლის, შიდა ქართლის, კახეთის, მცხეთა-მთიანეთისა და სამცხე-ჯავახეთის მხარეებში, აგრეთვე ქ. თბილისში განხორციელდა მაიონირებელ გამოსხივების საშუალებათა რეგისტრაცია;

— ინსპექტორება ჩაუტარდა აღმოსავლეთ საქართველოს დასახლებულ პუნქტებში მოქმედ, რადიაციული საქმიანობით დაკავებულ ორგანიზაციებს;

— გადამოწმდა რადიაციული საშიშროების შესახებ მიღებული სიგნალები და მოხდა მათზე სათანადო რეაგირება;

— ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს ეგიდით და მათი ექსპერტ-სპეციალისტების ზედამხედველობით რაჭა-ლეჩხუმის რეგიონში მოძებნილ და გაუვნებელყოფილ იქნა უკონტროლო რადიოაქტიური წყაროები;

— ბირთვული და რადიაციული სამსახურის სპეციალისტების მიერ შესწავლილ იქნა ლიცენზირებული რადიაციული საქმიანობით დაკავებული ორგანიზაციების საქმიანობა;

— განხორციელდა მაიონირებელი გამოსხივების წყაროების და მათი მფლობელი ორგანიზაციების რეგისტრაცია. ამ მიმართულებით სამუშაოები ჩატარდა გურიის მხარეში, ქ. ფოთში და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში. მოპოვებული მონაცემების საშუალებით დამთავრებული იქნა სამუშაოები მაიონირებელი გამოსხივების წყაროების ინვენტარიზაციაზე და ბირთვული და რადიაციული საქმიანობით დაკავებული ორგანიზაციების რეგისტრაციაზე. 2 წლის განმავლობაში შეგროვებული ინფორმაცია შეტანილ იქნა კომპიუტერულ პროგრამაში და დღისათვის არსებობს მონაცემთა ბაზა, რომელშიც შეკრებილია ინფორმაცია საქართველოს ტერიტორიაზე განთავსებული ყველა მაიონირებელი წყაროს შესახებ მათი ფიზიკური პარამეტრებით, განთავსებით, ადგილმდებარეობითა და გამოყენების თავისებურებების აღწერით.

— შემოწმდა 52 ობიექტი, რომელთა შორისაც 37 მიეკუთვნება სამედიცინო პროფილს, 10 – სამეცნიერო კვლევითს, 3 – სამრეწველოს, ხოლო 2 – განათლების სისტემას.

— რეაგირება გაკეთდა რადიაციული საშიშროების შესახებ მიღებულ 15 სიგნალზე.

პროგრამა – „მაღალი ეკოლოგიური რისკის მქონე ობიექტების მშენებლობისა და ოპერირების პერიოდში გარემოსდაცვითი მონიტორინგი“

პროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- **ბაქო-თბილისი-ჯეიპანის ნავთობსადენისა (თჩ) და სამხრეთ კავკასიის მილსადენის (შჩ) მარშრუტების მონიტორინგი**

— ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებში განხორციელებული მივლინებულის შედეგად გამოვლინდა დარღვევები, რომელიც არ შეესაბამებოდა კონტრაქტორისა და თჩ ჩო. — ს მიერ აღებულ ვალდებულებებს.

— ბაქო-თბილისი-ჯეიპანის ნავთობსადენის მინაძე-საკუნეთის მონაკვეთზე ჩატარდა მეწყერული და ეროვნიული პროცესების აუდიტი.

— სამშენებლო დერუფანში და სხვა ობიექტებზე ბიოაღდგენის მიმართულებით თჩ ჩო.-სთან მიღწეული შეთანხმების შესაბამისად დამატებულ იქნა 2 სანერგე თბილისისა და ბაკურიანის ბოტანიკურ ბაღებში, ხოლო მცენარეთა კონსერვაციის განყოფილების ტერიტორიაზე სრულიად განახლდა სარწყავი სისტემა.

— დაბა ბაკურიანში ნავთობის ჩამოსაცლელ რეზერვუართან (სოფ. ციხისჯვარი) მისასვლელი გზების აღტერნატივების შერჩევა-შეფასების მიზნით შესწავლილ იქნა 4 მარშრუტი.

— -ს, სამინისტროს, ნავთობის საერთაშორისო კორპორაციისა და შპს “სანიტარი”-ს წარმომადგენლებმა გარდაბნის რაიონში შეარჩიეს შესაფერისი ადგილი თბილისის ახალი მუნიციპალური ნაგავსაყრელის მშენებლობისათვის.

- **ბაქო-სუფსის ნავთობსადენი (ჭლ)**

— განხორციელდა 2005 წლის შემოდგომაზე ბაქო-სუფსის ნავთობსადენზე მომზდარი ავარიის შედეგად დაბინძურებული ტერიტორიის აღდგენის მონიტორინგი.

— ეკოლოგიური მონიტორინგის სამმართველომ მონიტორინგი გაუწია ბაქო-სუფსის 86-ე კმ/ნიშნულზე დაღვრილი ნავთობის გამწმენდ სამუშაოებს.

- **ყულევის ნავთობისა და ნავთობპროდუქტების გადასატვირთი საზღვაო ტერმინალი**

— მომზადდა შენიშვნები ყულევის ნავთობისა და ნავთობპროდუქტების გადასატვირთი საზღვაო ტერმინალის მიერ მომზადებულ “ეკოლოგიური მონიტორინგის სქემა”-სთან დაკავშირებით;

— განხილულ იქნა შპს „შავი ზღვის ტერმინალის“ მიერ წარმოდგენილი ნავთობის დაღვრაზე რეაგირების გეგმის მეორე ვარიანტი.

პროგრამა — „ექსპერტიზის ჩატარების უზრუნველყოფის ღონისძიებები“

- პროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:
- საანგარიშო პერიოდში მომზადდა და შეივსო 45 გარემოზე ზემოქმედების ნებართვა;
 - გაიცა ზედაპირული წყლის ობიექტიდან წყალაღების 30 და ზედაპირული წყლის ობიექტებში წყალჩაშვების 18 ნებართვა;
 - გაიცა ბირთვული და რადიაციული საქმიანობის 29 იმპორტის და 8 ექსპორტის ნებართვა;
 - საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გაცემულია გადამფრენ ფრინველებზე ნადირობის 2442 ნებართვა თბილისში და 3308 — რეგიონებში (სულ 5750);
 - გაიცა გადაშენების წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობების (ჩIთ შ) იმპორტის, ექსპორტისა და რე-ექსპორტის თითო-თითო ნებართვა;

პროგრამა — „დაცული ტერიტორიების მავნებლებისაგან დაცვის ღონისძიებები“

- ფლორისა და ფაუნის დაცვის ღონისძიებების განხორციელების მიზნით დაცულ ტერიტორიებზე მიმდინარეობდა ტყეების დაცვისა და შენარჩუნების საქმიანობა, ხორციელდებოდა ტყეების გამოკვლევა პათოლოგიური კუთხით, გატარდა ტყის მავნებლებისა და დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებები.

- დაცული ტერიტორიების მთლიან ფართობზე ჩატარებული გამოკვლევების შედეგად გამოვლენილია წიწვოვანი და ფოთლოვანი ხეების 22 სახეობის მავნებელი მწერი;

პროგრამა — „ტყის დაცვა, აღდგენა-განახლება და ტყითსარგებლობა“

პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ იქნა შემდეგი ღონისძიებები:

- განხორციელდა მსოფლიო ბანკის თანადაფინანსებით გაშენებული ტყის კულტურების (125.5 ჰა) მოვლის ღონისძიებები;
- საანგარიშო პერიოდში თეთრიწყაროს ყოფილ სატყეო მეურნეობაში 12 ჰა-ზე გაშენებულ იქნა კულტურები.


- განხორციელდა 117 ჰა-ზე ტყის ბუნებრივი განახლების ხელშეწყობის ღონისძიებები;
- განხორციელდა სანერგეების მოვლის ღონისძიებები;
- მოსახლეობის სათბობ შეშაზე მოთხოვნილების დაკმაყოფილების მიზნით საანგარიშო პერიოდში გამოიყო სპეციალური ჭრის ტყეკაფები, 347,7 ათ მ საშეშე ხე-ტყის მისაღებად.
- საქართველოს მთავრობის განკარგულების საფუძველზე კომერციული ჭრით დეპარტამენტის მიერ ფაქტიურად გამოყოფილი და აუქციონზე გატანილი იქნა 312.0 ათ.ასი კბმ ლიკვიდური მერქანი. აქედან მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი 489,0 ათ. ლარით გამოყოფილი იქნა 247.0 ათ მ ხე-ტყე, ხოლო 65.0 მ გამოყოფილი იქნა წლიური მოცულობის ფარგლებში;
- ძირზე გაცემულია 460 ათასი მ ლიკვიდური მერქანი. ბიუჯეტში შესულია ბუნებრივი რესურსის მოსაკრებლის სახით 4.43 მლნ ლარი.
- საანგარიშო პერიოდში განხორციელდა ადიგენის, ახალციხის, ბორჯომ-ბაკურიანის, ქიზიყის, დუშეთის, მცხეთის, ახალგორის, ხაშური-ქარელისა და თბილისის ყოფილ სატყეო მეურნეობებში გაჩენილი ხანძრების ლოკალიზაცია;
- მაღალი რისკის ხანძარსაშიშროებით სატყეო მეურნეობებში (განსაკუთრებით იქ, სადაც გავრცელებულია წიწვიანი ტყეები) ეწყობოდა ზშირი რეიდები და აყვანილ იქნა დროებითი მეხანძრე დარაჯები.

- სტრატეგიული მიმართულება – ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სისტემის სრულყოფა**
- პროგრამა – „ტყეთმოწყობა“**
- საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ტყეთმოწყობა ხორციელდებოდა სახელმწიფო ტყის ფონდის მთელ ტერიტორიაზე.
 - საანგარიშო პერიოდში განხორციელდა მცხეთის ყოფილი სატყეო მეურნეობის ტყეთმოწყობა 13 908 ჰა ფართობზე.
 - დასრულდა თბილისის სატყეო მეურნეობის ტყეთმოწყობა (8854 ჰა).

საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური

საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურისათვის 2006 წლის განმავლობაში სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 25,210.4 ათასი ლარი, ხოლო გაწეულმა ხარჯმა – 25,109.1 ათასი ლარი, რაც 2005 წლის შესაბამის მაჩვენებელზე ნაკლებია – 8,310.1 ათასი ლარით.

2005-2006 წლებში გამოყოფილი
დაზუსტებული ასიგნებები და გაწეული ხარჯები




აღნიშნული ხარჯები ორგანიზაციულ ჭრილში განაწილდა შემდეგი სახით:

(ათასი ლარი)				
ორგანიზაციული გეგმა	დასახელება	დაზუსტებული გეგმა	საკასო ხარჯი	შესრულება %-ში
39 00	სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური	25,210.4	25,109.1	99.6%
	მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება დამქირავებლიდან ანარიცხები მივლინებები სხვა საქონელი და მომსახურება მ.შ. პეტრე ხარჯები სუბსიდიები, სუბვენციები და მიმღინარე ტრანსფერები კაპიტალური ხარჯები	13,208.5 3,135.7 1,095.0 4,283.8 426.0 2,230.4 1,257.0	13,191.3 3,099.6 1,073.4 4,281.5 425.5 2,212.8 1,250.5	99.9% 98.8% 98.0% 99.9% 99.9% 99.2% 99.5%

ეკონომიკური კლასიფიკაციის „მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების“ მუხლის წილმა მთლიან ხარჯებში 52.54%-ი შეადგინა, „დამქირავებლიდან

ანარიცხებმა“ – 12.34%, „მივლინებებმა“ – 4.27%, „სხვა საქონელმა და მომსახურებამ“ – 17.05%, „სუბსიდიებმა, სუბვენციებმა და მიმდინარე ტრანსფერებმა“ – 8.81%, ხოლო „კაპიტალურმა ხარჯებმა“ – 4.98%.


2006 წელს გაწეული ხარჯების სტრუქტურა
ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით



საქართველოს სახალხო დამცველის სამსახური

საქართველოს სახალხო დამცველის სამსახურისათვის 2006 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 1 816.1 ათასი ლარი, ხოლო გაწეულმა ხარჯმა – 1 885.3 ათასი ლარი, რაც 2005 წლის ხარჯებს 493,4 ათასი ლარით აღემატება.

2005-2006 წლებში გამოყოფილი დაზუსტებული
ასიგნებები და გაწეული ხარჯები




**2006 წლის ასიგნებები ორგანიზაციულ ჭრილში განაწილდა
შემდეგი სახით:**

(ათასი ლარი)				
ლრღანზამოვანი კოდი	დასახელება	დაზუსტებული გეგმა	საკასო ხარჯი	შესრულება %-ში
40 00	საქართველოს სახალხო დამცველის სამსახური	1 816,1	1 885,3	103,8%
	მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება დამქირავებლიდან ანარიცხები მივლინებები სხვა საქონელი და მომსახურება მ.შ. კების ხარჯები პროცენტების გადახდა სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები კაპიტალური ხარჯები	616,4 123,2 33,4 230,1 0,5 0,1 776,4 36,6	616,3 123,2 33,3 227,7 0,4 0,0 848,9 35,8	100,0% 100,0% 99,8% 99,0% 88,2% 0,0% 109,3% 97,9%
40 01	საქართველოს სახალხო დამცველის სამსახურის აპარატი	1 039,7	1 036,3	99,7%
	მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება დამქირავებლიდან ანარიცხები მივლინებები სხვა საქონელი და მომსახურება მ.შ. კების ხარჯები პროცენტების გადახდა კაპიტალური ხარჯები	616,4 123,2 33,4 230,1 0,5 0,1 36,6	616,3 123,2 33,3 227,7 0,4 0,0 35,8	100,0% 100,0% 99,8% 99,0% 88,2% 0,0% 97,9%
40 02	უცხოეთიდან მიღებული დაფინანსების წყაროებით და გრანტებით განსახორციელებელი საინვესტიციო პროექტები და ამ პროექტებში თანამონაწილეობისა და თანადაფინანსების ხარჯები	776,4	848,9	109,3%
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	776,4	848,9	109,3%

40 02 01	სახალხო დამცველის ოფისის დახმარება	776,4	848,9	109,3%
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	776,4	848,9	109,3%

ეკონომიკური კლასიფიკაციის „მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების“ მუხლის წილმა მთლიან ხარჯებში 32.7% შეადგინა, „დამქირავებლიდან ანარიცხებმა“ – 6.5%, „მივლინებებმა“ – 1.8%, „სხვა საქონელმა და მომსახურებამ“ – 12.1%, „სუბსიდიებმა, სუბვენციებმა და მიმდინარე ტრანსფერებმა“ – 45.0%, ხოლო „კაპიტალურმა ხარჯებმა“ – 1.9%.


2006 წელს გაწეული ხარჯების
სტრუქტურა
ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების
მიხედვით



საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისია

საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისიისთვის 2006 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 444.9 ათასი ლარი, ხოლო გაწეულმა ხარჯმა – 372.5 ათასი ლარი, რაც 2005 წლის ხარჯებს 25.1 ათასი ლარით აღემატება.

2005-2006 წლებში გამოყოფილი დაზუსტებული ასიგნებები და გაწეული ხარჯები



აღნიშნული ხარჯები ორგანიზაციულ ჭრილში შემდეგნაირად განაწილდა:


(ათასი ლარი)

ორგანიზაციის კოდი ული	დასახელება	დაზუსტებული გეგმა	საკასო ხარჯი	შესრულება %-ში
41 00	საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისია	444,9	372,5	83,7%
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	444,9	372,5	83,7%

საქართველოსა ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელი სახელმწიფო სააგენტო

საქართველოსა ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელი სახელმწიფო სააგენტოს 2006 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 486.1 ათასი ლარი, ხოლო გაწეულმა ხარჯმა – 483.3 ათასი ლარი, რაც 2005 წლის მაჩვენებელძე 2.8 ათასი ლარით ნაკლებია.

2005-2006 წლებში გამოყოფილი დაზუსტებული ასიგნებები და გაწეული ხარჯები




აღნიშნული ხარჯები ორგანიზაციულ ჭრილში შემდეგნაირად განაწილდა:

(ათასი ლარი)				
ორგანიზაციის კოდი და სახელი	დასახელება	დაზუსტებული გეგმა	საკასო ხარჯი	შესრულება %-ში
42 00	საქართველოს ნაკობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელი სახელმწიფო სააგენტო	486,1	483,3	99,4%
	მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება დამქირავებლიდან ანარიცხები მივლინებები სხვა საქონელი და მომსახურება კაპიტალური ხარჯები	308,0 61,6 20,5 70,5 25,5	308,0 61,6 17,8 70,5 25,5	100,0% 100,0% 86,7% 100,0% 100,0%

ეკონომიკური კლასიფიკაციის „მუშა-მოსამსახურეთა ანაზღაურების“ მუხლის წილმა მთლიან ხარჯებში 63.7% შეადგინა, „დამქირავებლიდან ანარიცხებმა“ – 12.7%, „მივლინებებმა“ – 3.7%, „სხვა საქონელმა და მომსახურებამ“ – 14.6%, ხოლო „კაპიტალური ხარჯების“ წილმა – 5.3%.


2006 წელს გაწეული ხარჯების სტრუქტურა ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით



საქართველოს საპატიონარებო

საქართველოს საპატიონარებოსთვის 2006 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 5 462.8 ათასი ლარი, ხოლო გაწეულმა ხარჯება – 4 794.4 ათასი ლარი, რაც 2005 წლის ხარჯებს 3 504.3 ათასი ლარით აღემატება.

2005-2006 წლებში გამოყოფილი
დაზუსტებული ასიგნებები და გაწეული ხარჯები



ხარჯები ორგანიზაციულ ჭრილში შემდეგნაირად განაწილდა:
(ათასი ლარი)

ორგანიზაციული კადა	დასახელება	დაზუსტებული გეგმა	საკასო ხარჯი	შესრულება %-ში

43 03	საქართველოს საპატრიარქო	5 462,8	4 794,4	87,8%
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	5 462,8	4 794,4	87,8%
43 03 01	სახულიერო განათლების ხელშეწყობის გრანტი	1 076,4	1 075,6	99,9%
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	1 076,4	1 075,6	99,9%
43 03 02	საქართველოს საპატრიარქოს წმინდა სიმონ კანანელის სახელობის სასულიერო სწავლების ცენტრი	485,7	485,7	100,0%
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	485,7	485,7	100,0%
43 03 03	ბათუმის წმინდა მატათა მოციქულის სახელობის ბავშვთა გიმნაზია-პანსიონი	324,9	324,9	100,0%
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	324,9	324,9	100,0%
43 03 04	საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ნინოს სახელობის ობოლ, უპატრონო და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა პანსიონატი	18,0	18,0	100,0%
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	18,0	18,0	100,0%
43 03 05	ფერეიდნელი ქართველებისათვის სულიერ-კულტურული ცენტრის მოწყობა	219,6	219,6	100,0%
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	219,6	219,6	100,0%
43 03 06	წმინდა სამების საკათედრო ტაძრის კომპონენტი	3 338,2	2 670,6	80,0%
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	3 338,2	2 670,6	80,0%

თავი V კრედიტები და გრანტები

2006 წლის განმავლობაში მიღებულმა გრანტებმა და კრედიტებმა (მათ შორის ბიუჯეტის მხარდამჭერი კრედიტები და გრანტები) შეადგინა 366.7 მლნ ლარი. აღნიშნული სახსრებიდან ხარჯზე მიბმული კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში ჩამორიცხულმა სახსრებმა შეადგინა 229.7 მლნ ლარი. გაწულმა ხარჯებმა შეადგინა 228.3 მლნ ლარი. სხვაობა 1.4 მლნ ლარი წარმოადგენს "სახელმწიფო სექტორის ფინანსური მართვის მხადაჭერის" პროექტის ფარგლებში ჩამორიცხულ თანხას რომელიც არ დახარჯულა.

ამასთან, 2006 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან უცხოეთიდან მიღებული დაფინანსების წყაროებით განსახორციელებელი საინვესტიციო პროექტებში თანამონაწილეობისათვის და ამ პროექტების თანადაფინანსებისათვის გამოყოფილმა ასიგნებამ შეადგინა 30.2 მლნ ლარი, ხოლო გაწეულმა ხარჯმა – 28.5 მლნ ლარი.

გრანტები

2006 წლის განმავლობაში გრანტების სახით მიღებულმა სახსრებმა შეადგინა 194.0 მლნ ლარი. მათ შორის:

- ბიუჯეტის მხარდამჭერი გრანტები – 101.7 მლნ ლარი;
- ევროკავშირის გრანტები – 69.4 მლნ ლარი;
- ბაქო-თბილისი ჯეიპანის მილსადენის კომპანიის (თბ-ცო) მიერ 40 მილიონიანი საგრანტო პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი მეორე (11 მლნ აშშ დოლარი) და მესამე (4 მლნ აშშ დოლარი) საგრანტო ტრანშები სულ 26.3 მლნ ლარი;
- დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს საერთაშორისო განვითარების დეპარტამენტის (I) გრანტი მულტილატერალური ვალის ტვირთის შემსუბუქების (ლI) ინიციატივის ფარგლებში 1.5 მლნ ლარი;
- ლიტვის მთავრობის მიერ საქართველოს მთავრობისათვის გამოყოფილი გრანტი ენერგოკრიზის დასაძლევად – 0.2 მლნ ლარი;
- ლატვიის მთავრობის მიერ საქართველოს მთავრობისათვის გამოყოფილი გრანტი ენერგოკრიზის დასაძლევად – 0.2 მლნ ლარი;
- უკრაინის მთავრობის მიერ საქართველოს მთავრობისათვის გამოყოფილი გრანტი ენერგოკრიზის დასაძლევად – 4.1 მლნ ლარი;
- მსოფლიო ბანკისა და სხვა დონორთა გრანტები ინვესტიციური პროექტების დასაფინანსებლად – 63.6 მლნ ლარი;
- სხვა გრანტები ხაზინის ანგარიშზე ჩარიცხული მიზნობრივი გრანტების ჩათვლით – 28.7 მლნ ლარი.

კრედიტები

საანგარიშო პერიოდში ჩამორიცხული კრედიტების მთლიანმა მოცულობამ შეადგინა 172.7 მლნ ლარი, მათ შორის:

- საინვესტიციო პროექტების დაფინანსება - 137.4 მლნ ლარი;
- მსოფლიო ბანკის კრედიტი – 35.3 მლნ ლარი;

საინვესტიციო პროექტების ფარგლებში ათვისებული თანხები ძირითადად მოხმარდა სოციალური სფეროს (ჯანდაცვა, განათლება), ენერგეტიკის, გზების, სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის პროექტების განხორციელებას.

ჯანდაცვის სფეროში განხორციელდა 50 ამბულატორის რეაბილიტაცია და აღჭურვა იმერეთის, აჭარისა და შიდა ქართლის რეგიონებში; ქუთაისის და ბათუმის საოჯახო მედიცინის რეგიონული ტრეინინგ-ცენტრების რეაბილიტაცია და აღჭურვა; დასრულდა ქუთაისის პერინატალური ცენტრის რეაბილიტაცია; განხორციელდა ქობულეთის პოლიკლინიკისა და რაიონული ლაბორატორიოს რეაბილიტაცია; განხორციელდა დაავადებათა კონტროლისა და სამედიცინო სტატისტიკის ცენტრის ოფისის რეაბილიტაცია; შეიქმნა საავადმყოფოთა მართვა-მენეჯმენტის განვითარების სტრატეგიული მენეჯმენტი; დასრულდა აბასთუმნის ტუბსაავადმყოფოს რეაბილიტაცია და აღჭურვა; დასრულდა ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებების ეროვნული ცენტრის ახალი შენობის აღჭურვა; საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემას გაძლიერების მიზნით, შეიქმნა ანტივირუსული პრეპარატის – ტამიფლუს სტრატეგიული მარაგი; რეგიონებში დაიწყო ღV მკურნალობა. მკურნალობა უტარდება 250 ავადმყოფს (მათ შორის 8 ბავშვი და 2 ორსული). 122 პაციენტს უტარდება ჩანაცვლებითი თერაპია (პრეპარატი მეტადონით)

განათლების სფერო განხორციელდა ეროვნული გამოცდების ცენტრისთვის ციფრული ფერადი სტამბის და ოპტიკური სკანერების შეძენა; შეიქმნა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი და ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი; ჩატარდა მასწავლებელთა საგნობრივი ტრეინინგები; 560 სკოლისთვის შეიქმნა სასკოლო ბიბლიოთეკები; არაქართული სკოლებისათვის განხორციელდა სახელმძღვანელოების თარგმანი; შეიქმნა და საზღვარგარეთ დაბეჭდიანი ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის ტესტები.

ენერგეტიკის სფეროში განხორციელდა 220/110 კვ და 500 კვ გამანაწილებელი მოწყობილობის ჩაბარება საექსპლუატაციოდ მზა

მდგომარეობაში; მოწოდებულ იქნა 220ვ ბატარეები და დამმუხტველები და დაიწყო მათი დამონტაჟება; ხრამი 2 ჰიდროელექტროსადგურზე განხორციელდა ადმინისტრაციული შენობის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები; დახურული გამანაწილებელი მოწყობილობის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები; ნულოვანი გამომყვანების სალტეების ახალი სისტემის და დენის ტრანსფორმატორების მონტაჟი და ტესტირება; ზედა საკისრისა და ზეთის ავზის მონტაჟი; ჰიდრომექანიკური მოწყობილობების ახალი მართვის, კონტროლის სიგნალიზაციის მონტაჟი; ტურბინისა და გენერატორის ღერძების შეწყვილებისათვის აუცილებელი დეფექტების აღმოფხვრის სამუშაოები; კიბეების და მოაჯირების მონტაჟი; სიჩქარის რეგულატორის მართვის მიღების გადაკეთება და მონტაჟი; 220/110/10,5 კვ ქვესადგურის და №2 ჰიდროაგრეგატის ელექტროსამონტაჟო - სარეაბილიტაციო სამუშაოები.

გარდა ამისა, მომზადებული და პარლამენტში წარდგენილ იქნა საქართველოს კანონის პროექტი „ელექტროენერგეტიკის სფეროში დავალიანებათა მართვის შესახებ“.

გზების პროექტების ფარგლებში რეაბილიტაცია ჩაუტარდა შემდეგ გზებს:

- თბილისი-თიანეთი სარეაბილიტაციო სამუშაოები – 12 კმ
- საჯავახო-ჩოხატაური-ოზურგეთი-ქობულეთი რეაბილიაცია - 18.26 კმ;
- თბილისი-კოჯორი-წალკა-ნინოწმინდა – 2 კმ;
- ზუგდიდი-ანაკლია – 8 კმ;
- ჩოლაბურის ხიდი-თერჯოლა-ტყიბული – 14 კმ;
- ხევსურთსოფელი-სიონი – 15 კმ;
- ოზურგეთი-ნატანები-წვერმაღალა – 8 კმ;

სოფლის მეურნეობის სფეროში განხორციელდა მებალეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის ს/კ ინსტიტუტისა და სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტის საკოლექციო, საცდელ-სადემონსტრაციო და ექსპერიმენტული ნაკვეთების რეაბილიტაცია-გაშენებისა და მოვლის 2006 წლის სეზონური სამუშაოები; დაიწყო და მიმდინარეობს სკრის, საქარის (ვაჭევის) და თელავის საცდელ-საკონსულტაციო ცენტრების მშენებლობა; განხორციელდა 40 ბიოგაზის დანადგარის და 80 ნაკელსაცავის მშენებლობა; ფრინველის გრიპის პრევენციული ღონისძიებებისათვის ვეტერინარიის დეპარტამენტისათვის შემენილი იქნა

27 ავტომანქანა ნივა, აგრეთვე, სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნულ სამსახურისათვის შეძენილი და გადაცემული იქნა ქათმის გრიპის საწინააღმდეგო საშუალებები, კერძოდ: სადეზინფექციო საშუალებები, სხვადასხვა ტიპის შემასხურებელი აპარატები, სხვადასხვა სახის დამცავი ტანსაცმელი და ნიღბები; მოწვეული იქნა საერთაშორისო ექსპერტი დოქტორი უელი კიმი, რომელმაც ფრინველის გრიპის საწინააღმდეგო შტაბებისა და სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახურის თანამშრომლებისათვის (60 კაცი) ორჯერ ჩატარა სემინარი ფრინველის გრიპის საწინააღმდეგო ღონისძიებებზე; დასრულდა ქვემო აღნაზნის სარწყავი სისტემის, ტაშისკარის სარწყავი სისტემის, რიონი-ჩოლოქის სადრენაჟო სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები; განხორციელდა ქ. ფოთთან, მდ. რიონის წყალგამყოფი ჰიდროკვანძის რეაბილიტაციის დროებითი ღონისძიებები; მდინარე რიონის მარცხენა ნაპირის გამაგრება აჭარლების დასახლების ტერიტორიაზე ხობის რაიონში; მდინარე რიონის მარჯვენა ნაპირის გამაგრება სოფლების პატარა ფოთის და საღვამიჩაოს ტერიტორიაზე ხობის რაიონში; მდინარე ცხენისწყლის მარცხენა ნაპირის გამაგრება ქ. ხონის წყალმომარაგების სათავე ნაგებობის დასაცავად; მდინარე ცხენისწყლის მარცხენა ნაპირის გამაგრება სოფელ მათხოვის ტერიტორიის დასაცავად ხონის რაიონში; მდინარე არაგვის მარცხენა ნაპირის გამაგრება ჭოპორტი-საგურამოს 1100 მმ-იანი წყალსადენის დასაცავად; უზნვალპესის ზედაპირული უქმი წყალსაგდების რეაბილიტაცია.

გარემოს დაცვის პროექტების ფარგლებში განხორციელდა მაღალი გამავლიანობის ორხილიანი მსუბუქი ავტომანქანების (ნივა) შესყიდვა სატყეო დეპარტამენტის რაიონული ოფისებისა (20 ცალი) და გარემოს დაცვის ინსპექციისათვის (10 ცალი); დასრულდა დარგობრივი რადიო-კავშირგაბმულობის სისტემის მონტაჟისა და ტესტირების საწყისი ფაზა; დასრულდა საქართველოს ტყის ფონდის 11.795 კვ.კმ-ს აეროფოტოგადაღება; განხორციელდა კომპიუტერების (48) და საოფისე ავეჯის შესყიდვა რაიონული სატყეო ოფისებისთვის; შემუშავდა ტყის ინვენტარიზაციის მონაცემთა დამუშავების კომპიუტერული პროგრამა; მომზადდა მდინარე აღაზნის ჭალის ტყის ეკოსისტემებისა და დაკით გარეჯის დაცული ლანდშაფტის მართვის სახელმძღვანელო დოკუმენტების საბოლოო ვერსიები და მათი შესაბამისი კანონპროექტები; დასრულდა ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის დედოფლისწყაროს

ოფისის რეკონსტრუქცია; დასრულდა დაცული ტერიტორიების სადემარკაციო სამუშაოები; დასრულდა დაცული ტერიტორიების დეპარტამენტის ოფისის რეკონსტრუქცია; დასრულდა კოლხეთის ეროვნული პარკისა და ქობულეთის სახელმწიფო ნაკრძალის საველე ინფრასტრუქტურის სამუშაოები; დასრულდა კოლხეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციული შენობისა და ვიზიტორთა ცენტრის ინოვაციური პროექტის სამშენებლო სამუშაოები; დასრულდა ქობულეთის სახელმწიფო ნაკრძალისა და აღკვეთილის ადმინისტრაციული შენობის მშენებლობა; მონიტორინგისა და პროგნოზირების ცენტრის აჭარის ფილიალის ქიმიური ლაბორატორიის და ფოთის სანიტარული ინსპექციისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ცენტრალური ლაბორატორიის თანამშრომლებს ჩაუტარდათ სასწავლო კურსები; ფოთის სანიტარული ინსპექციისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ცენტრალური ლაბორატორიას მიეწოდა ზოგადი ლაბორატორიული აღჭურვილობა; სამეცნიეროსა და გურიის რეგიონების სხვადასხვა რაიონებში განხორცილებული იქნა სკოლების, საბავშვო ბაღების, წყალმომარაგების სისტემების, გზებისა და ხიდების რეაბილიტაცია.

გარდა ამისა, ხაზინის მიზნობრივი გრანტების ანგარიშზე ირიცხება 1 100.0 ათასი ლარი, რომელიც წარმოადგენს ხაზინის ერთიან ანგარიშზე, სადეპოზიტო სახაზინო კოდზე მიზნობრივი გრანტების ნაშთს, რომელიც 2007 წლის 1 იანვრის მდგომარეობით არსებულ ნაშთში გათვალისწინებული არ არის და რომლის გახარჯვაც შესაბამისი განმკარგავი ორგანიზაციების მიერ განხორციელდება 2007 წლის განმავლობაში.